05
J-979

1902

№ 8—9 1883 —1902 15 მაისი

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება

05
ვ. 979
P38840

უმაღლესი დაჯილდოებანი.

უმაღლესად დაჯილდოებულ არის 6 მაის, 1902 წელსა:

ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით პოლოლის ქორ-ეპისკოპოსი გერმანი.

საქართველოს საეკლესიოსამებრ:

ა) წმიდა ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით: დეკანოზი მიხეილ მძინარეოვი.

ბ) მეორე ხარის. ანნას ორდენით: დეკანოზი ისაკ იორდანოვი, დეკანოზი გიორგი იტონიევი, დეკანოზი იოანნე ინაევი, ზედამხედველი სენაკის სასულიერო სასწავლებლისა არხიმანდრიტი გიორგი, დეკანოზი სიმონ ქავთარაძე და დეკანოზი დიმიტრი მახათაძე.

გ) წმიდა ანნას მესამე ხარისხის ორდენით: არქიმანდრიტი დასიოთეოსი, დეკანოზი იოანნე ნაზაროვი, მღვდელი იროდიონ ნანაბოვი, მღვდელი დიმიტრი კალატოზოვი, მღვდელი დავით ლაკანოვი, მღვდელი მიხეილ ვარდიევი, მღვდელი მათე მირიანოვი, მღვდელი ილარიონ იაევი, სოფ. ლენჯეხის ეკკლესიის იგუმენი კლიმენტი.

დ) გუდის ჯვრით მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისაგან ნაბოძებით—წინამძღვარი მოწამეთის მონასტრისა არქიმანდრიტი ბესაიონი.

ხელმწიფე იმერატორმა, უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენების და უწმიდესის სინოდის დადგენილების თანახმად, უმოწყალესად ნება დართო, რათა ებოძოს საქართველოს საეკლესიოს ეპარქიების საეკლესიო სამრეველო და წერაკითხვის სკოლათა მეთვალყურეს დეკანოზს პანნე ვოსტორგოვს სპარსეთის ურმიის მართლმადიდებელ სასულიერო მისიის დათვალიერების მინდობილების მშვენივრად შესრულებისათვის ოქროს ჯერდის ჯვარი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კაბინეტიდგან.

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის წარდგენის გამო, წმ. ანნას საკავალერო საბჭოს უქვეშევრდომილესი მოხსენების თანახმად, უმოწყალესად ნება დართო აწ მიმდინარე წლის თებერვლის 3 დღესა, რათა ებოძოს ზემოხსენებული მესამე ხარისხის ორდენი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს, სტატსკი სოვეტნიკს ანთიმოს გორგაძეს.

განჩინებანი უწმ. სინოდისა.

24 აპრილიდან 1902 წ. № 1687 სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

უქაზისამებრ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა მოისმინა წარდგინებანი ეპარქიების მღვდელ-მთავრებისა, მოსკოვის სინოდალნი კანტორისა და სასახლის სამღვდელოების გამგის დაჯილდოებისათვის, მათდამი რწმუნებულ სასულიერო პირთა, სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის, ბრძანეს: საფუძველთა ზედ მოხდენილ მსჯელობათა, უწმ. სინოდი განაწესებს: ამასთანავე წარმოგზავნილ სიასა შინა მოხსენებული სასულიერო პირნი დაჯილდოებულ იქმნენ სიასა შინა აღნიშნული ჯილდოებით და ეპარქიის მღვდელ-მთავრების, მოსკოვის სინოდალნი კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგის გამოსაცხადებლად დაჯილდოებულ პირთა სია დაბეჭდილ იქმნეს „საეკლესიო უწყებებშ“.

სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ უწმ. სინოდისაგან სასულიერო უწყებისამებრ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის დაბადების დღეს.

საქართველოს საეპარხოსში:

ა) ენქერით—კ. ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის დეკანოზი რაფდენ გიგაუროვი.

ბ) დეკანოზობის ხარისხით:—დ. ხონის წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი ბასილ ქუთათელაძე და მღ. ვ. მაჭარაძე.

გ) აგუმენის ხარისხით:—წინამძღვარი იონ. ზედაზნის მონასტრისა ბერ-მონაზონი გერასიმე.

დ) მკერდის ჯვრით უწმ. სინოდისგან ნაბოძებით—მღვდელი ბართლომე იანკოვი, მღვდელი სიმონ ინდუევი, მღვდელი გიორგი ჭელიძე, ხაზინადარი იოან. ნათლის მცველის მონასტრისა ბერ-მონაზონი ათანასე; მღვდელი იესე გაბელაშვილი, მღვ. სიმონ ჭალავანიძე, მღვდელი ეგნატე თათარიშვილი, მღვ. ისიდორე ბერაია, მღვდელი ექვთიმე ტალაკვაძე, მღვდელი პეტრე ხოჩოლავა; თანაშემწე სამეგრელოს სასულ. სასწავლებლის ზედამხედველისა ბერ-მონაზონი დავითი, ბერ-მონაზონი ფილიმონი, ბერ-მონაზონი თემისტოკლე, ბერ-მონაზონი ექვთიმე.

ე) კამილავკით—მღვდელი სილიბისტრო ხუნდაძე, მღვდელი გიორგი ჩაგუნავა, მღვდელი ბორის ევნიამინოვი, მღვდელი ვასილი ნათაძე, მღვდელი ალექსი ეპიტოვი, მღვდელი ერმალოზ ედილოვი, მღვ. იოსებ ტუკუშევი, მღვდელი ნიკოლოზ მაჭავარიანი, მღვდელი გიორგი გულაძე, მღვდელი დავით კავკასიძე, მღვ. დავით გიორგობიანი, მღვდელი იოანნე სალაძე, მღვდელი ტატიანე მიქაძე, მღვდელი იასონ ჩხიკვაძე, მღვ. სპირიდონ ცირიკაძე, მღვ. სპირიდონ გორდულაძე, მღვდელი სიმონ კანდელაკი, მღვდელი ილარიონ ცაკორიძე, მღვდელი იოანნე ვეფხვაძე, იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღვდელი მელიტონ კელენჯირიძე, მღვდელი თომა დუღლაძე, მღვდელი ვლადიმერ აბრამიშვილი, მღვდელი ვასილ დოლობერიძე, მღვდელი სილიბისტრო ჩხაიძე, მღვდელი პეტრე მატკავა, მღვდელი იაკობ სიხარულიძე, მღვ. ნიკოლოზ ჩხაიძე, მღვ. მაქსიმე თოდუა, მღვდელი ნესტორ კონტრიძე, მკვდელი ფილიმონ ბროკაშვილი, მღვდელი იოანნე კეკელია, მღვდელი ბესარიონ ელიავა, მღვდელი საბა გელასლავა, მღვდელი არსენ საბაშვილი, მღვ. ექსენტ. თვალთვაძე, მღვდელი ივლიანე ოსიძე.

ვ) უწმიდესი სინოდის დოცვა-კურთხევით გრამატით—მღვდელი დიმიტრი ზეტრეველი, ხობის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სიმონი.

1902 წლის 28 მარტ. № 1403 ნომრით აღნიშნული: განწესებულ იქმნენ ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი სიდაბასტრე იმავ სემინარიის რექტორად, ხოლმის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი იღუმენი სერგი ალექსანდრეს სახელის სამისიონერო სემინარიის რექტორად ამ პირთა არქიმანდრიტის ხარისხზედ აღყვანით და ვიატკის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი მღვდელ-მონაზონი იუსტინე—ქუთაისის სემინარიის ინსპექტორად.

ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ.

საქართველოს გაერთიანების აზრი მე-XVIII საუკუნეში (1789 წ.).

დასასრული*)

მეფემ პასუხი ვერ მისცა. გაოცდა მასზე, როცა ამათ დედოფლის თანხმობაც განუცხადეს, რადგანაც დედოფალი ერეკლეს წინაშე მკაცრი წინააღმდეგი იყო ერთობისა, ჩემს სამშობლოსა ოჯახს როგორ შეიძლება, რომ ტახტი წაერთვას და გამოეწიროსო. როგორ შეიძლება ესაო, მე ამის ნებას არ მოგცემთო. იმერეთის დესპანებმა დედოფლის აზრი შეიტყეს, შეიტყეს, რომ იგი შეერთების წინააღმდეგი იყო, დესპანნი წავიდნენ და კერძოთ დედოფალს აეედრეს და ამუდარეს სიცყვა ერთობისათვის. დედოფალმა ნება მისცა და განაცხადა ერთობის სურვილი, უკეთუ მეფეთ ჩემს ნაშობს იულონს მიიღებთ და ~~ამა ჩემს ბეჭედსა და მის~~ შვილებსო. დესპანთ თანხმობა განუცხადეს, ოღონდ ერთობა მოხდეს და იულონი იქმნეს მეფეთაო. მაგრამ საუბედუროთ ეს არ იქმნა ქართველთაგან შეწყნარებული, მეფეთ ითხოვდნენ გიორგის, ან მის შვილს და ერთ რიგისა და სამეფო წესისამებრ გამგეობას და მეფობას. მეფე ერეკლე საშინელს მდგომარეობაში ჩავარდა, არ იცოდა საქმისთვის რაფერ მოეევლო და ეპატრონებინა, რა პასუხი მიეცა იმერთათვის.

ამ დროს წარსდგა იოანე მუხრან-ბატონი და მოახ ენა მეფესა და კრებულს:

იმერეთის შეერთება ჩვენთვის ერთობ ძნელი საქმეა, ოდესმე თუმც გვქონია ერთობა, მაშინ ძალიც გვქონია ამისთვის. დღეს უძლურნი ვართ. ჩვენ ქართველებს ვერ მოგვივლია თვით ჩვენის ქართველისთვის, ჩვენის თავისთვის ვერ გვიპატრონებია, როგორ მოვუაროთ იმერეთს, როდესაც მას თავისი პატრონი მეფე და მეფის ნათესავნი ჰყავთ, რათ წავართვად ტახტი სოლომონის ნათესავთა, ოდიშის და გურიის მთავრებსა. ჩვენ ჩვენი ქვეყანა გვაქვს და ჩვენ ჩვენსას უნდა მოვუაროთ. ამას მიემხრნენ მრავალნი ქართლის თავადნი და ამტკიცებდნენ ერთობის უარყოფას. ამან განარისხა დავით სარდალი დემურაშვილი, ეს წარსდგა წინაშე კრებისა და მეფეს მოახსენა განრისხებით: — მართალს ბრძანებს იოანე მუხრან-ბატონი, რომ ჩვენ ვერ მოვუვლით ქვეყანასაო, ერთობას ვერ ვიტვირთებთო. ჭეშმარიტად რომ იგი ვერ მოუვლის თავის ხმლით ქვეყანასა და მაგის ზრახვანი ვერ აიტანენ ქვეყნის ერთობას. მაგრამ მოგახსენებთ მეფეო, რომ ყოველთვის ხომ იოანე მუხრან-ბატონი არ იქნება და მისნი თანამოაზრენი! მუხრან-ბატონი დღეს თუ ვერ მოუვლის ქვეყანას თავის ხმლითა და მათრახით, მოვა დრო, მოვლენ სხვა მუხრან-ბატონები და ისინი შეიწყნარებენ და შეითვისებენ ერთობის აზრსა. მე ვითხოვ პირველისამებრ სიტყვასა ერთობისა და არ შეწყნარებას. იოანე მუხრან-ბატონის სიტყვისასა. დავითი აღელვებულ იქმნა ამაზე. დავითს შეუდგა ჭაბუა და მოახსენა:

ერთობა ქარვთელთა არის ძალა ქართველთა. ~~მეფეთ დასმული უნდა იქმნეს კანონიერი მემკვიდრე~~ ტახტისა, რათა ამბოხი არ დაიბადოს და მერმისთვის აღრევა არ იქმნეს ტახტის მოცილეთა ბატონიშვილთა, და ერთხელა და სამუდამოდ განწესდეს წესი და რიგი მეფის მემკვიდრეთა მეფეთ დასმასა და კურთხევასა, ისევე, როგორც ძველთ ყოფილა ეს.

მეფემ არაფერი სთქვა და კრება დაიშალა. კრების შემდეგ დარეჯან დედოფალმა დაიბარა ჭაბუა ორბელიანი და განრისხებით სტუქსა იგი და დავით სარდალი: თქვენ გიორგი მეფეს ემბრობით. ეგ მის ცოუნებით ხდებაო, დავით სარდალი მუხრან-ბატონის მტრობას და შუღლს სწევსო, მე ვერ მოვითმენ ამასაო. ჭაბუამ მიუგო დედოფალს:

ბატონო დედოფალო, ქვეყნის და ერთობის ორგულათ მე ვერ შევიქნები. თქვენ რაც გენებოთ ის ბრძანეთ, მევედრეთ, მაგრამ მე მაინც ჩემს უცვალებელს ჰაზრზე ვიქნები სიმტკიცით რადგანაც აზრი ჩემი არის სასარგებლო ქვეყნისათვის, ერთობისათვის და ერთ-მეფობისათვის. ერთობამ განგვაძლიერა და ერთობავე უნდა გვქონდეს. თქვენ რაც გენებოთ ის და მე კი ვერ გაუხდები ორგული ჩემის ქვეყნის, მეფობის და ერთობის.

*) იხ. „მწყემსი“ № 6. 1902 წ.

ჩემი აზრები უცვალებლათ და მტკიცეთ დარჩება ჩემს სიცოცხლეში, მე ყოველთვის ერთობისა და ერთ-მეფობის მთხოვნელი ვიქნები და ეს თუ ვერ მოხერხდება, მე მაინც ჩემს აზრებს არ შევიცვლი, მოვკვდები და ერთობის აზრს საფლავში ჩავიტან და არ კი შეიცვლი. რათ ბრძანებთ, რათ მავალებთ და მაფიცებთ, რომ მეფის მტერი ვიქმნე, ქვეყნის ორგული, ერთობის არა მოსურნე... დედოფალო, დარღვეულმა ცხოვრებამ დაარღვია ერი და ქვეყანა, მე კარგად ვხედავ დარღვეულის ცხოვრების ნაყოფს, მე ვერ ვიტვირთებ თქვენს დავალებას, მე ვარ მრჩეველი მეფისა და ერისა, მრჩეველი ერთობისა, მერქვას ამის სახელი და ვიქმნე მრავალთაგან არ შეწყნარებული!?, მაგრამ მე ვერ ვიზამ საეშმაკო საქმეს, ბოროტის კაცის მსგავსად ქვეყნის მტერობას და ორგულობას ვერ გავწევ. ქართველებს აუარებელი სისხლი უღვრიათ ქვეყნისა და ერთობისათვის და მეც როგორც ერთგული მეფისა და ქვეყნისა ვითხოვ ერთობას და ერთ-მეფობას. გაბედვით და უშიშრათ მოგახსენებთ, დედოფალო, რომ მე არ მოგცემთ ამის ნებას, რომ თქვენ ერთობა მხოლოდ იულონის გამეფებით მოინდომოთ. ეს არ შეიძლება. ესეთი საქციელი კვლავ დაბადავს ამბოხს მთავართა და ერთა შორის. მეფედ ცნობილ უნდა იქმნეს მემკვიდრე ტახტისა და მფლობელი პატრონი მეფობისა მეუფროსობით...

დარეჯან დედოფალი სასტიკათ განარისხა ჭაბუას სიტყვამ. ყველაფერი თავის გერს გიორგი მეფეს მიაწერა. დედოფალთან მივიდნენ ქუთათელი, გენათელი და სხვა სამღვდელონი და ეუბნებოდნენ კრძალულებით ერთობის მნიშვნელობას და ერთობის მიღებას, თორემ შემდეგში იმერთა ტახტიც დაიმსხვრევა და თქვენის გვარის დაღიანის ოჯახიცაო. დოსითეოს ნეკრესელმა მაღალის ხმით ამცნია ერთობის მნიშვნელობა და მემკვიდრის გამეფება, თუმც ისიც მოახსენა, რომ გიორგი არა არს ღირსი მეფობისა, უმჯობეს იქმნება, რომ მის შვილს დავითს მიეცეს იმერეთის ტახტიო და ერეკლეს შემდეგაც იგი გამეფდეს ქართლ-კახეთის ტახტზე და შმ სახით შეერთდეს საქართველოვო.

დედოფალს მაინც ვერ შეაცვლევინეს უგვანი აზრი, იგი მკაცრი წინააღმდეგი იყო ერთობის. ის ამბობდა: იმერეთის და სამეგრელოს ტახტი მოიშალოს და შეერთებულ იქმნეს მაშინ, თუ მეფედ იულონი იქნებაო. წინააღმდეგ შემთხვევაში წინააღმდეგი ვიქმნები მეო.

შემდეგ ამისა იქმნა კრება და რჩევა. ჭაბუა ორბელიანმა აღიმაღლა ხმა და მოახსენა მეფეს:

მეფეო და დიდებულნო, შეერთება კართლ-კახეთ-იმერეთისა არს სიმტკიცე და ძალი ქვეყანისა. განგიმეორებთ, რომ ჩვენი ქვეყანა დაეცა იმ დროს, როცა ერთობა დაგვერღვა. თუ გვსურს, რომ დავიფაროთ ქვეყანა და მეფობა ჩვენი, უთუოდ უნდა მოხდეს ერთობა და ერთ-მეფობა. თუ წინააღმდეგი ხართ მეფობისა და ქვეყნისა, მაშინ ჰყავთ ასე. მაგრამ მოგახსენებთ, რომ მერმისისთვის არც ის ვიქნებით ჩვენ, რაც დღესა ვართ. დღევანდელი ცხოვრებაც მოგვეშლება, ჩვენი სამეფოც განსქთება ნაწილ-ნაწილად, ჩვენც დავკნინდებით და მოვიშლებით ყოველისფერით, ჩვენი ქვეყანა სხვისი კერძი გახდება, ქართველნი სხვის ხელში შთავარდებიან და ბოლოს მოესპობათ ყოველისფერი, სული, ენა, მწიგნობრობა და მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებანი... გიორგი მეფეც თანხმა იყო ჭაბუასი და აქებდა ყმის აზრს. გიორგის უთქვამს ვითომც:

ერთობაზე უკეთესი და მშვენიერი რა უნდა იყოს. ძმათა ერთობას მოციქულნიც ქადაგებენ. დავით წინასწარმეტყველი იტყვის: სამეფო ისრაელთა მაშინ დაეცა, როდესაც იგი განსქდა ორადა, საბერძნეთი დაეცა მაშინ, როცა გაიყო ორ-სამს სამეფოდ.

ჭაბუა კვალად ავედრებს მეფეს ერთობის პასუხის მიცემას, დესპანნი ამხნევებდნენ ერთობის მსურველთ და მზრუნველთ და აჩქარებდნენ პასუხს, მაგრამ მეფე ერეკლე ეპუნჯარებაში ჩავარდა, ერთობა ჯერ არ მომხდარა და ერთობისთვის განხეთქილება ჩამოვარდაო, ამიტომ ვერ ვიტვირთებ იმერთ ტახტს, ვერ შევერთებ იმერთ, რომ მის მეოხებით უარესი მტერობა არ ჩამოვარდესო. მოკლეთ, უარ-ჰყო მეფე ერეკლემ ერთობის თხოვნა და დესპანნი გულ-დაწყვეტილნი და მწუხარენი გაისტუმრა იმერეთს. დააბარა ამათ, რომ მე მალე ჯარს გამოვგზავნი და იმერეთში სოლომონ მე-II-ეს გავამეფებო. მალე ქართლიდამ ჯარი გაგზავნეს იმერეთში, ჯარს თან გაჰყვა იოანე მუხრან-ბატონი, ზაქარია ანდრონიკაშვილი. მეფის ძე იუ-

ლონ და მრავალი სხვანი. დავით ბატონიშვილი ჩამოაგდეს ტახტიდამ და სოლომონ მე-II-რე გამეფეს იმერეთის ტახტზედ. ამ ცვლილების შემდეგ დავითი დაპატმრებულ იქმნა. შემდეგ რუსებსაც მოესწრო და გარდაიცვალა 1820 წლებში.

ასე და ამ გვარათ დაბოლოვდა ერის დიდებული განძრახვა და წადილი. ჰაბუა ორბელიანის სიტყვა დარჩა სიტყვათ ქართველთა ერთობისა და ამან ეს სიტყვა სხვებს დაუტოვა ანდერძად და შვილის-შვილთადამი გარდასაცემად, რომ ვიდრე ქართველებს ერთობა არ ექმნებათ, მინამდის მათი მეფობა ვერ იხარებსო. მეფის ერეკლესთვის ვიტყვით ჩვენ, რომ მოხუცი მეფე ვერ მოიქცა კანონიერათ, ვერ აღასრულა ერის თხოვნა ერთობისთვის, ვერ მოიქცა დროის შესაფერათ, ასპინძს და სხვაგან ათი-ათასობით აწყვეტდა ქართველთ და იმერეთის შეერთებაში კი ვერ გამოიჩინა მხნეობა და ნიჭი, მან ვერ იგრძნო ერთობის მნიშვნელობა, ერთობის ძალა, არ შეისმინა დიდებული რჩევა მრავალთა და ნამეტურ ჭაბუასი, აჰყვა დედოფალსა და მოლოდ ნათესაეურის პატივისცემის გამო უარ-ჰყო თხოვნა იმერთა ერისა.

(„მოგზაური")

ახლად ნაპოვნი იოანე ჰეტრიწის თხზულება.

ორის წლის წინეთ გაზეთს „ივერიაში" გამოცხადებული იყო, რომ იმერეთში ერთს ოჯახში აღმოჩენილა ერთი ძველი მეტად ძვირფასი ხელნაწერი თხზულება „კვეშირად" წოდებული, რომელიც შეიცავს ნეოპლატონიანის ფილოსოფოსის დიოდოხის თხზულებას ქართველ ფილოსოფოსის იოანე ჰეტრიწის მიერ თარგმნილს და მისგანვე კანმარტებულს წიგნში სულ 211 თავია. თითოეულს თავს დიოდოხისს თხზულებისას ზედ მოსდევს ფრიად ვრცელი კანმარტება იოანე ჰეტრიწისა. თვით ხელნაწერი ჰაგეოგრაფიულის ნიშნებით ეკუთვნის XII—XIII საუკუნეს.

რომ კვეროთ, თუ რამდენად ძვირფასია ეს ხელნაწერი, უნდა მივიღოთ სახეში ის გარემოება, რომ ქართველ მეფეების ვახტანგ VI-სა და ერეკლე II-ის დროს ცნობილმა ქართველმა მწერალმა იოანე ორბელიანმა ვერ იპოვა ძველი წიგნი იოანე ჰეტრიწისა და სომხურ ენიდამ კადმოთარგმნა ეს წიგნი, თუმცა სომხურ ენაზე ძველად ქართულ ენიდამ კადეთარგმნთ, როგორც თვითონ მთარგმნელნი ამოწმებენ და როგორც სომხური წარწერაც ერთის ქართულის ხელნაწერისა ცხადად მოგვითხრობს.

იოანე ორბელიანას თარგნილი „კეშირი" და ახლად აღმოჩენილ ხელნაწერისა დიდად გაირჩევიან ერთი მეორისაგან. თვით ტექსტი დიოდოხისა ორივე ხელნაწერში საეურადღებო განსხვავებას არ წარმოგვიდგენს, მაგრამ განმარტება ტექსტისა ახალ-ხელნაწერში დიდად გაირჩევა სომხურისაგან. ცხადია, რომ იოანე ჰეტრიწის განმარტება ქართულიდამ სომხურად რეკადეთარგმნეთ, საეურადღებოდ შეეტვლეთ, შეეშოკლებეთ და ზოგან ძირეანად გადეემახინჯებეთ სომეხთა მწერლებს. ეგელა ამის უცხადესად გამოსაკვლევად საჭიროა სრულის შედარებით გამოცემა ახლად აღმოჩენილის ძველის ხელნაწერისა.

ეოველად-სამდვდელო ალექსანდრე ეს ორი წელიწადია სცდილობდა მოახსენებული ხელნაწერი ეშოვნა, მაგრამ მხოლოდ ამ ორმოდე კვირის წინეთ მოახერხა იგი და განზრახვა აქვს თვისის სიფასით გამოსცეს და თვით ხელნაწერი შესწიროს წერა-კითხვის სახოგადოების წიგნთ-საცავს ლმერთმა ქნმას, რომ ქართულ მწერლობის მოტრფიალე მხცნოვან მდვდელ-მთავარს თვისი სურვილი ალესრულებინოს—დაიდგ კარგი იქნებოდა, რომ ეოვლად-სამდვდელო ალექსანდრე ამ ხელნაწერსაც შეეიქნდეს, რომელსაც ჭქონია სომეხ მწერალთა წარწერა, მომიხრობელი ამისი, რომ სომხებს წიგნი „კეშირი" ქართულ ენიდან უთარგმნიათ სომხურად, რაიც კეამტრთდებდა იოანე ორბელიანის ცნობას და ჩვენს ხელნაწერ წიგნების ს

კიდევ საუმაწვილო წიგნების შესახებ.

(წერილი რედაქტორთან)

მოწი

ალეო ხელმწიფეეე, ბატონო რედაქტორო! ამას წინად, როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, გახეთს „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდე მე საკურადღებო მსჯელობა ანატოლი ფრანსისა საუმაწვილო წიგნების შესახებ; და ეს საკანი იმდენად საკურადღებოდ, იმდენად ჩვენთვის საჭირო საკნად მიმაჩნია, რომ განძრახული მაქვს მრავალჯერ დაბეჭდნე ამ ფრიად საჭირო საკანს, მანამდის კი, თუ თქვენი ნებაც იქნება, ქვემორე მოეკანილი კითხვებით მიმართავ ჩვენს შედგოგებს და დასელოვნებულ მშობლებს, რომ მათ, როგორც დასელოგებულთ ბავშვთან, თავიანთა აზრი და შეხედულობა გაკვეზიარონ ამ შეტად საინტერესო საკნის შესახებ. ეს ეს კითხვებიც: 1) ბავშვებს მივცეთ თუ არა წასაკითხად განკეგ მათთვის დაწერილი წიგნები? 2) რა შინაარსის წიგნს უფრო ეფლტვის ბავშვი და რა მიზეზია ბავშვის რომელიმე წიგნით გატაცება? რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენ ბავშვებზედ ნაწარმოები ჩვენი საჭიერი და გონიერი პოეტებისა? 3) ჩვენს რომელს მწერალს მოუხდენია უფრო დიდი შთაბეჭდილება ბავშვზედ? 4) ეცხო მწერალთა შორის რომელი მწერალი უფრო მოსწონთ თქვენს ბავშვებს? 5) ვინი ნაწარმოები უფრო მოსწონთ ბავშვებს ქალებისა, თუ კაეებისა და რისთვის? 6) უეეკართ თუ არა თქვენს ბავშვებს სამეცნიერო წიგნების კითხვა და ამ ნაწილში რას უფრო აქცევენ ეურადღებას? 7) რა გაკვლენა აქვს თქვენს ბავშვებზედ ზღაპრებს და რა შინაარსის ზღაპარი უფრო მოსწონთ? 8) სკჯერათ თუ არა ბავშვებს ეველა ის, რაც ამ ზღაპრებშია წარმოდგენილი და ნაწკენები? 9) რა შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვებზედ ზღაპრის მომქმედი ცხოველები: ეელა, დათვი, მგელი, ეურდღელი, თაგვი, ტყრა და სხ.? რომელს ამათკენს უფრო თანაეგრძნობენ და ნდომულობენ მას გამარჯვებას? 10) რა აზრისანი ხართ იმ ზღაპრების შესახებ, სადაც მომქმედ პირებად გამოეეკინდნი არიან: ცხრათავიანი ეველა, ალი (ეინკა), ეშმაკი, ქაჯი და სხვა-დასხვა წარმოდგენილობითი არსებანი? ესენი აშინებენ თუ არა ბავშვებს და თუ აშინებენ, რაში გამოიხატება ეს შიში? უამზღაპროთ ბავშვი წინად არ იეო დაშინებული? 11) ხალხის რომელ ნაწარმოებს უფრო აქცევენ ბავშვი ეურადღებას? რომელის გაგონება უფრო ახალისებს და წარმოდგენილობითი ნიეის განვითარებაში შეელის? 12) ისტორიული მოთხრობები, ამბავები, ლეგენდები და სხ. იზიდავენ ბავშვის ეურადღებას თუ არა? ისტორიული რა უფრო მოსწონთ ბავშვებს? და სხ. და სხ.

ეი ეს კითხვები, რომელის განმარტებას და ახსენს დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი საუმაწვილო მწერლობის ფეხის წარსადგმელად და ჩვენი მომავალი თაობის დასასწავლად ამ ეზობიდან, რომელშიაც დღეს იეი იმეოფება ჩვენი დაუდეგრობით. ახსენი ამ კითხვებზედ რომელ ქართულ გაზეთშიაც ენებავდეთ, იქ გამოგზავნეთ, არა მგონია, რომ რომელიმე რედაქტორმ ამაზედ უარი თქვას.

ალ. ნათაძე

P. S. უმორჩილესად ვსთხოვ სხვა რედაქტიორებსაც ამ მოწოდებას თავიანთ ბატივცემულ გაზეთში ადგილი დეუთმონ*).

ალ. ნ—ძე

ბეთანიის მონასტრის დაოვალიერება ეპისკ. კირიონის მიერ.

შაბათს, 4 მაისს, წაბრძანდა ეოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი კირიონი დასათვალიერებლად ბეთანიის მონასტრისა; რომელიც მთ მეუფების მფარველობის ქვეშ იმეოფება. ეტლით მიბრძანდა სადგურ სამადლოდის და შემდეგ ფეიმასა და ავდარში ფეხით გაეარა მონასტრამდის მთელი გზა, იოთქმის ათი ვერსი, რადგან ეტლით მისვლა მონასტრამდე უგზოობის გამო შეუძლებელია. მონასტერში დაჭმვდა კრებული ჯვრით და აალაზმით და „დიარსა არს“-ის გალობით. კვირას, შემდეგ წირვისა, ეპისკოპოსმა გარდახდა პანაშვიდი თანდასწრებით მონასტრის კრებულისა, განსვენებულ დავთან ზაალის ძის ბარათაშვილის სულის მოსახსენებლად, რომელმაც მონასტერი უზრუნველ-ყო მშვენიერის მამულის შეწირვით. განსვენებული მუდამ დახმარებასა და შემწეობას უწევდა მღვდელ-მონაზონს სპირიდონს ეკალესიის განახლების საქმეში. შემდეგ ეოვლად-სამღვდელომ დაათვალიერა დიდი განახლებული ეკალესია და აგრეთვე კრებულის

*) დიდის სიამოვნებით ვასრულებთ. რედ.

ფრანგული გაზეთი „ფიგარო“ მოგვითხრობს, რომ ერთ პატარა სოფელში ტევეპელში ერთს ღარიბ სოფლურ სახლში წევს ქალი ბუენვალი, რომელსაც სძინავს სალათას ძილით თერმეტი წელიწადი. მარგარიტა ბუენვალი დაიბადა 29 მაისს 1864 წელს. იმ დღიდან, რაც იმან დაიძინა, არც ერთხელ არ გაუღვიძნია, არაფერი არ უჭამია და წვეთი წყალი არ დაულევია. პირი მაგრა აქვს მოკუმული, კბილები მოჭერილი, სახე უძრავი, სხეულის კანი მშრალი და გაციებული აქვს. გულის ცემა ოდნავა აქვს, მაგრამ ყოველთვის თანასწორი. ხელს რომ უწევენ, რბილია და ნებაზე მოსახრელი. ამ საბრალო მძინარს ოყნით ასაზრდოებენ. ექიმების ყოველგვარმა ცდამ, რომ გრძნობაზე მოეყვანათ. აქამდის ვერა გააწყო რა. ადგილობრივი ექიმების აზრით, სალათას ძილი გამოუწვევია ნერვების ძლიერ შერყევას, რომელსაც ტვინის ძაფებზე უმოქმედნია, რის გამო ქალს დასძინებია.

* * *

ის აღბავი, რომ ოსმალეთის მთავრობა თანხმაა დანიშნოს უსკიუბში მიტროპოლიტი სერბიელი-ფირმილიანი, დიდ მღელვარებასა და მოშრეობას იწვევს ბოლგარიაში და თვით უსკიუბშიც, სადაც თითქმის სულ ბოლგარელები სცხოვრობენ. ხალხი მეტად უკმაყოფილოა და მთელი ეპარქია პროტესტს აცხადებს ფირმილიანის ეპისკოპოსად დანიშვნის წინააღმდეგ: „ბოლგარელები სასოწარკვეთილებას მიეცნენო, სწერს ერთი კორესპონდენტი, რადგან ძალად უნიშნავენ მათ სერბის ეპისკოპოსს და ამითი ლახავენ ბოლგარელ ეროვნობას. სასოწარკვეთილებასთან ერთად იზრდება ხალხის აღშფოთებაც; თანდათან ვრცელდება და მწიფდება აზრი—ეროვნობა თუ სარწმუნონება? მართლმადიდებელთა ერთი წრე ქ. კუმანოვოდან ავსტრიის საკონსულოს უკვე შეეკითხა—როგორ უნდა მოიქცენ, რომ უნია (პაპთან შეერთება) მიიღონ (ე. ი. გადაუდგენენ მარლ-მადიდებლობას; რადგან მათ უცხო ეპისკოპოსს უნიშნავენ)? არ გვესმის, ვისთვის ან რისთვის შეიქმნა საპირო ფირმიალიანის დანიშვნა, რომელიც ეწინააღმდეგება ეტნოგრაფიას, საეკლესიო კანონებს, ისტორიას და რომელიც გამწვავებული მტრობას გამოიწვევს ბოლგარებსა და სერბებს შორის“.

კორესპონდენტის სიტყვით, უსკიუბის ეპარქია დარწმუნებულია, რომ ფირმილიანის დანიშვას პოლიტიკური ხასიათი აქვს და მიმართულია იმისაკენ, რომ უსკიუბა შემდეგ შეუერთონ სერბიას ან ჩერნოგორიას. „ამიტომაო, ამბობს კორესპონდენტი, ბოლგარელებმა გადასწყვიტეს, თუ ფირმილიანი მართლა დაინიშნა ეპისკოპოსად, მიიღონ უნია და მიჰმართონ დახმარებისათვის იმ სახელმწიფოს, რომელიც დიდი ხანია დახმარების წინადადებასა და ეროვნობის ხელ-უხლებლობის გარანტიას იძლევა (ავსტრია)... იცოდა ყველა სლავებმაო, ათაევს კორესპონდენტი თავის წერილს, რომ გარდა უმისა, უსკიუბის ეპარქიის ბოლგარელები არჩევენ ავსტრიის ოკუპაციას. („ც. ფ.“)

* * *

ჰონკონგიდან გამოქცეულ ვაჭრის სიტყვით, აჯანყებულ ჩინელების ხელში ოკ-და-ათზე მეტი ქალაქი და სოფელია. ყველგან თურმე შემდეგი შინაარსის პროკლამაციებია გაკრული:

„ჩინეთის შვილნო! ჩვენ ავაზაკები არა ვართ. ჩვენ ჭეშმარიტი და ერთგული ჩინელები ვართ. ჩინეთს უცხოელები განაგებენ: განა მანჯურელი უზურპატორები (ეხლანდელი დინასტია) უცხოელები არ არიან ჩვენთვის? ისინი უსამართლოდ გვეპყრობიან; ხალხის მოთხოვნას ყურს არ ათხოვებენ. მანდარინები მოქრთამე და გარყვნილი ხალხია; ამათ მიჰყიდეს დასავლეთის ხალხებს (ევროპელებს) ჩინეთის ბევრი ოლქები; ამათ გამოაცხადეს ომი ისე, რომ არაფერი ვიცოდით და ეხლა ფულებს გვთხოვენ, რომ სამხედრო კონტრიბუცია გადაიხადონ. ჩვენ ვერ შევურიგდებით საქმეთა ასეთ მდგომარეობას. აი ჩვენი პროგრამა: 1) მანჯურიის დინასტიის გადაყენება, 2) ახალ ჩინურ დინასტიის ტახტზე აყვანა, 3) დაბეჩავებულთა დახმარება, 4) რეფორმების შემოღება, 5) ვაჭრობისათვის მფარველობის გაწევა, 6) ტახტის კანტონში გადატანა, 7) უცხოელების არ დევნა. ჩვენ მარტო მანჯურელების მტრები ვართ“.

აჯანყებული თავის თავს გუნგს ეძახიან, გუნგი—ტაიპინგების მეთაური იყო.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** ხმები ისმის, რომ მომავალ ენკენისთვიდგან ტფილისში დაარსებული იქმნება საქართველოს საეპარქიო სკოლების მთავარი საოლქო საბჭო, რომელსაც დაექვემდებარებიან საეპარქიო სკოლების ყველა საბჭონი. საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ დაწინშნულ იქმნება ყოვლად-სამღვდელო დიმიტრი, ეპისკ. ალავერდისა.

*** ჩვენ გავიგეთ, რომ ქართლ-კახეთის საეპარქიო სასკოლო საბჭოს და საეკკლესიო სიძველეთ-საცავის კომიტეტის თავმჯდომარეთ ინიშნება ყოვლად-სამღვდელო დიმიტრი, ეპისკ. ალაკერდისა.

*** გორის სასულიერო სასწავლებლის ზედა მხედველის თანაშემწე ი. ვ. ბუტირსკი გადაყვანილ იქმნა ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად, არქიმანდრიტის გიორგის (ალადოვის) ნაცვლად, ხოლო გორში ზედამხედველის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა მეორე ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი პიროსი (ოქროპირიძე). ამრიგად აქვთ ამის შემდეგ საზოგადოებამ თავის სკოლათათვის მხოლოდ ერთი ინსპექტორი დასტოვოს ბ-ნი ევტიხი მამინაშვილი.

*** პეტერბურგის გაზეთები იტყობინებიან, რომ მთავრობას გადაწყვეტია ისეთივე შეღაეათი მიანიჭოს მართლ-მადიდებელ სამღვდელო პირებს რკინის გზებზე მოგზაურობის დროს, როგორის სამხედრო სამსახურის პირთ აქვს, ესე იგი, შესამე კლასის ბილეთით მეორეში შეეძლოსთ მოგზაურობა.

*** ბერლინის უნივერსიტეტის რექტორს მოუწერია ტფილისში წერილი ყოვლად-სამღვდელო კირიონისთვის, რომლის თაოსნობითაც იბეჭდება ამ ჟამად სამეცნიერო აღწერა საეკკლესიო მუზეუმის ხელ-ნაწერებისა, მაღე იქნება თუ არა დაბეჭდილი კატალოგი ზემოხსენებულ მუზეის ხელ-ნაწერებისა და აღწერანივთებისაო. კატალოგი, როგორც აცხადებდენ, უკვე შედგენილია და იბეჭდება ორს სტამბაში, ნახევარი, 401 ნომრამდე, ერთს სტამბაში და ამ ნომრიდან დანარჩენი—მეორეში. ბეჭდვას ორსავე სტამბაში, რამდენადაც კი შესაძლოა, აჩქარებენ და იმედი აქვთ, რომ ამ ზაფხულს ორივე წიგნი მზად იქნება.

*** რედაქციამ მიიღო დაბეჭდილი «წესდება უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებისა». საზოგადოებას შემდეგი დახმარება შეუძლიან აღმოუჩინოს ხსენებულ სტუდენტებს: ა) ლექციათა მოსასმენი ფული შეიტანოს უმაღლეს სასწავლებლებში, ბ) ერთ-დროებითად ან და მუდმივ პირდაპირი დახმარება აღმოუჩინოს სტუდენტებს და გ) ხელი შეუწყოს კავკასიაში საშუალო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ უნივერსიტეტებში ანუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის დროს.

საზოგადოება შესდგება ნამდვილ და საპატიო წევრთაგან, რომელთა რიცხვი წესდებით არ არის განსაზღვრული. წევრობა შეუძლიან ყოველ მსურველს ორთავე სქესისას, ყოველ წოდებისა, შეძლებისა და სარწმუნოებისას.

ნამდვილ წევრს ჰხდება წლიურ საწევრო გარდასახადად—სამი მანეთი. საპატიო წევრებად-კი აირჩევენ იმას, ვინც დიდ ფულს, ანუ დიდს რაიმე სამსახურს გაუწევს საზოგადოებას.

*** რედაქციამ მიიღო № 4 ჟურნალის „მოგზაურისა“ შემდეგის შინაარსით: 1, პირველ-ყოფილი ადამიანის გონებრივი მდგომარეობა, ბ. კ—ისა; 2, მთიულთ ცხოვრებიდგან, ე. გუგუშვილისა; 3, კლარჯეთის აღწერა, ზ. ჭ—სა; 4, ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა, ალ. ტატუნაშვილისა; 5, საქართველოს საეკკლესიო ისტორია, ილ. ფერაძისა.

*** მივიღეთ „მოგზაურის“ რედაქტორის ი. ბ. როსტომაშვილის გამოცემა «გამოსადეგნი ცნობანი», წიგნი მეოთხე, რომელშიაც შემდეგი წერილებია მოთავსებული პედაგოგიიდგან: 1, ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა ოჯახებსა და სკოლებში. 2, ადვილად შესწავლა გამრავლების ტაბულასი. 3, რეფორმატორნი სწავლა-აღზრდისა, ა. ტატუნაშვილისა. მეურნეობა-მრეწველობიდგან: 4, რამდენ ნაირად შეიძლება გამოვიყენოთ რძე ჩვენს ოჯახებში, ა. დარეჯანაშვილისა. 5, გაზაფხულის ყინვები, გ. ლეხურელისა. ჰიგიენა-მკურნალობა: 6, საშინაო სამკურნალო გიმნასტიკა.

*** რუსულ ჟურნალის „Журналъ для всѣхъ“ № 4-ში დაბეჭდილია ბ-ნის ა. ხახანაშვილის ისტორიული წერილი „ბრძოლა საქართველოს ტახტისათვის“.

*** რედაქციამ მიიღო ჟურნალის «ჯეჯილის» მე-4 ნომერი შემდეგის შინაარსით: 1, აღდგომა, ლექსი—პელიაშვილისა, 2, ქვევრი, იგავი—ალ. მირიანაშვილისა, 3, მოთამაშე მიმუნი, მოთხრობა —თ. რაზიკაშვილისა, 4, ხოხბები და კაკბები, იგავი ალ. მირიანაშვილისა, 5, მიწის მუშა და მისი შვილები. ფრანგული იგავი—კლდიასი, 6, ლომი, ლუკეკეიჩისა, თარგმანი—კ. ფრონისპირელისა, 7, ცელქი შალვა, ლექსი დ. თომაშვილისა, 8, მელიას თავგადასავალი, ზღაპარი (გაგძელება)—ალ. ნათაძისა, 9, ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად, —ისტორიული ამბავი—იაკობ გოგებაშვილისა, 10, ლედი ჯენ, მოთხრობა, დასასრული—ელ. წერეთლისა, 11, კალედონიაში ნადირობა (ოვიდიოსიდამ) —ა. ყუმისთაველისა, 12, ჭიაკოკონობა ღამეს, მოთხრობა—ეკ. გაბაშვილისა, 13, საშინელი სასჯელი მოღალატისა, ისტორიული ამბავი იაკობ გოგებაშვილისა, 14, წერილმანი: საჩუქრის მისაღები კოთხვა, გამოცანები, აკროსტიხი, ანდაზა, ციფრების ამოცანა, არითმეტიკული ამოცანა, რებუსი, ახსნა და განცხადება.

*** „ივერიაში“ ერთი დიდი სტატია არის დაბეჭდილი, რომელშიც მოყვანილია გამოკვლევა, თუ სად დაიბადა რაფიელ ერისთავი. დიდის გამოკვლევის შემდეგ, ავტორი ამ სტატიისა ამტკიცებს, რომ იგი დაიბადა ს. ქისტოურში. ეს რომ ნამდვილია მით ამტკიცებს ავტორი, რომ თვით რაფიელს უთქვამს: მე სოფელ ქისტოურში ამა და ამ ოთახში (ოთახიც უჩვენებია) დავიბადეო! მართლაც საკვირველია, როგორ დაანახსოვრდა ახალ დაბადებულ ბავშს ის ოთახი, რომელშიაც დაიბადა!?.

*** საქართველოს ექსარხოსს განუზრახავს ტფილისში სამრევლოები მოაწყოს სხვა ნაირად, შესცვალოს აწ არსებული წესი. ტფილისში, როგორც მოგეხსენებათ, მრევლი მღვდელს მისდევს. სადაც გადიყვანენ მოძღვარს, მისი მრევლიც იქ დაიარება სალოცავად. ამას გარდა, თვითეული ეკკლესიის მრევლი სხვა-და-სხვა უბნებში ცხოვრობენ და იქიდგან დაიარებიან თავისს ეკკლესიაში თუნდაც გვერდში სხვა ეკკლესია ჰქოდეს. ახალი წესით-კი, რომელიც საქართველოს ექსარხოსს ჰსურს შემოიღოს, ყოველ ეკკლესიის მრევლს უნდა შეადგენდეს ის უბანი, სადაც არის თვისი ეკკლესია, ასე რომ, მაგალითად, ქაშვეთის მრევლი შეიძლება მოჰყვეს მამა-დავითისაში, კუკიის წმ. ნიკოლოოზისა ალექსანდრე-ნეველისაში და სხვა.

*** გამოცხადებულია, რომ ოდეკის ზედამხედველ სამრევლო სკოლებისა საქართველოს საექსარხოსოში დეკ. იოანე ვოსტორგოვი უწმ. სინოდის ბრძანებით დაუნიშნავთ საქართველოს სასინოდო კანტორის წევრად.

*** «მწყემსი»-ს რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები: 1) Бальваръ и Іодасафъ, ქართული ტექსტი XI—XII საუკუნ. ხელთნაწერებიდგან, ორის პალეოგრაფიულ ტაბლიცით, თარგმნილი და წინასიტყვაობა ა. ხახანაშვილისა. გამოცემა მისივე.

2) აღმოსავლეთის ფონეტიური ანბანი განმარტებითი წერილით, შედგენილი მაჰომედ შახტახტინსკისა.

*** მაისის 7-ს საღამოს $7^1/_2$ საათზედ დიდის სასახლის დიდს დარბაზში ცარსკოე სელოში სადღესასწაულო სადილი იყო პრეზიდენტის პატივისაცემლად მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით. ხელმწიფე იმპერატორმა ინება და წარმოსთქვა შემდეგი სადღეგრძელო ფრანგულად: ვისურვებ გულითა და სულითა, რომ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბ-ნო პრეზიდენტო. იმედი მაქვს, რომ თქვენი ყოფნა ჩვენ შორის საუკეთესო საბუთს მოგცემთ დარწმუნდეთ, თუ რა გრძნობანი აკავშირებენ საფრანგეთსა და რუსეთს. ინებოს ღმერთმა, რომ თქვენც ისეთი სასიამოვნო მოგონება ჩაგრჩენოდეთ გულში აქ ყოფნით, რა მოგონებაც მე და იმპერატრიცას არ გვშორდება გონებიდან, როცა გვახსენდება, რა სიამოვნებით გავატარეთ რამოდენიმე დღე შარშან საფრანგეთში. ვსვამ, ბ-ნო პრეზიდენტო, სადღეგრძელოს თქვენდა პატივ-საცემლად, ჩვენდა მეგობარისა და მოკავშირე ტურფა ქვეყნის სადიდებლად და საკეთილდღეოდ. პრეზიდენტმა უპასუხა შემდეგის სადღეგრძელოს სიტყვებით: ბატონო, გიპალლით-რა თქვენის მოწვევით, ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა მოგახსენოთ საფრანგეთის კეთილი სურვილი თქვენდა მიმართ, იმ საფრანგეთისა, რომელიც მუდამ გამსჭვალულია თქვენდამი იმავე გრძნობით, რომლის გამოცხადება თქვენ თვითონ იხილეთ. რამდენიმე საათი საკმაო იყო ჩემთვის, რომ მეც დავრწმუნებულიყავ, ჩემის მხრივ თუ რაოდენ ერთგვარად სცემს გული რუსეთისა

და ჩემის ქვეყნისა. საფრანგეთი ბედნიერი იქმნება ამ ხმა-შეწყობილის ერთიანის გრძნობით, რომლის მოგონებაც, როგორც თქვენვე ბრძანეთ, გულს ჩაგრჩათ თქვენცა, თქვენო უდიდებულესობავ და ხელმწიფე იმპერატრიცასაც. დიდად მადლობელი ასეთის მიღებისათვის, ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისა, ხელმწიფე იმპერატრიცისა და ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამისა და სრულიად საიმპერატორო სახლეულობის პატივ-საცემლად. ვსვამ სადღეგრძელოს საკეთილ-დღეოდ და საადიდებლად რუსეთისა, რომელიც გულ-წრფელი და ერთგული მეკავშირე საფრანგეთისა. სადილს შემდეგ მათთა უდიდებულესობათ ჩამოუარეს თავიანთ სტუმრებს. 10 საათზედ საგანგებო მატარებელი მოწვეულის სტუმრებით გაეგმართა პეტერბურგს. საღამოზედ პეტერბურგის საქალაქო საბჭოს დარბაზებში გამართული იქმნა წვეულება საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საფრანგეთის ესკადრის რუსეთში მოსვლის პატივსაცემლად. 11 საათისათვის მოვიდნენ ადმირალი რუსტანი, ზღვათა სამინისტროს გამგებელი და საფრანგეთის ელჩი. ქალაქის მოურავმა წარმოსთქვა სიტყვა. მის სიტყვას მოჰყვა ერთობილი ძახილი ურას და საფრანგეთის საეროვნო საგალობელი.

— სენატორი ტაინი სოვეტნიკი ზევრეევი დანიშნულია ბეუდვითი საქმეთა მთავარ სამართველოს უფროსად.

—პრეზიდენტმა ლუბემ დაათვალიერა ფრანგულის საქველმოქმედო საზოგადოების სამკურნალო და სამოწყალო სახლი; მერე გავიდა ლამაზად მორთულს ბაღში, სადაც უნდა მომხდარიყო საძირკვლის ჩაყრა საავადყოფო პავილიონისა პრეზიდენტ ემილ ლუბეს სახელობაზედ; საძირკველის ჩაყრის ადგილს გადახდილ იქმნა პარაკ. მე-12 საათის დასაწყისში პრეზიდენტი წავიდა ფრანგების საქველ-მოქმედო საზოგადოებიდგან მარსელიეზითა და აღტაცებულის ძახილით გაცილებულ- და ესტუმრა დიდს მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს სადარბაზოდ მარმარილოს სასახლეშიჩ; შემდეგ მივიდა საფრანგეთის საელჩო სასახლეში. 11 საათზედ და 50 წამ. საელჩო სასახლეში გამართული იყო საუზმე, რომელიც უძღვნა წარჩინებულმა სტუმარმა რუსეთის მინისტრებსა უმაღლეს კარის კაცთა და სხვათა. ნაშუადღევის 3 საათზედ პრეზინდენტი და მისი ამალა იყო ალექსანდრე-ნეველის ლავრაში; ლავრის სამების ტაძარში. ამბიონზედ იდგა მაღალ-ყოველად უსამღვდელოესი ანტონ, მიტროპოლიტი პეტერბურგისა და ლადოგისა, ცისფერ სამღვდელ-მთავრო მანტიითა და თეთრის ბარტყულათი. მიტროპოლიტმა პრეზიდენტის მისასალმებლად წარმოსთქვა სიტყვა; უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორმა ფრანგულად გადუთარგმნა პრეზიდენტს სიტყვა მაღალ-ყოველად უსამღვდელოესისა. შემდეგ მიტროპოლიტი მიუძღვა პრეზიდენტს და აჩვენა ლუსკუმა, რომელშიაც განისვენებენ ნაწილნი წმინდა ალექსანდრე ნეველისა. თაყვანი სცეს-რა სიწმინდეს, საფრანგეთის სტუმრებმა დაათვალიერეს წმ.-სამების ტაძარი და შემდეგ შევიდნენ მიტროპოლიტის სამყოფელ ბინაზედ; ლავრის მგალობლები მრავალ ჟამი-ერით მიეგებნენ წარჩინებულს სტუმარს; პრეზიდენტი ემეესაიფა მაღალ-ყოველად უსამღვდელოესს ანტონს. 3 საათსა და 45 წუთზედ საფრანგეთის სტუმარნი წამოვიდნენ ალექსანდრე-ნეველის ლავრიდან; შემდეგ პრეზიდენტმა დარბაზობით იხახულა მათნი იმპერატორებითნი უმაღლესობანი დიდნი მთავარნი და დიდთა სახელმწიფოთა ელჩნი. იყო ისაკის ტაძარშიაც. 4 საათსა და 45 წუთზე პრეზიდენტი მივიდა საზამთრო სასახლეში, დაათვალიერა ყოველივე, რაც ღირს შესანიშნავი იყო სასახლეში და საგერბო დარბაზში მიიღო სხვა-და-სხვა დეპუტაციისაგან სალამი. მეშვიდე საათზედ პრეზიდენტი გაემართა ცარსკოე სელოში, საცა 9 საათზედ დაიწყო საღღესასწაულო წარმოდგენა.

* * * „პრავ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება სენატორისადმი იმ პირთა პასუხის გების შესახებ, რომელნიც პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ არეულობაში და სოფლის იმ საზოგადოებათ, რომელნიც ხელს უწყობდნენ არეულობის გაძლიერებას პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში. ნაბრძანებია, რომ ხაზინიდგან 800,000 მან. მიეცეს „კონსტანტინოგრადის, პოლტავის, ვოლკოვის და ბოგოდუხოვსკის მაზრების დაზარალებულ მემამულეთ, მიენდოს ზარალის აღნუსხვა საგანგებო კომისიებს და დაედოს სრფლის ამ საზოგადოებათ დამატებითი გადასახადი, რომლის მოკრეფა უნდა მოხდეს არა უგვიანეს ამ წლის მეორე ნახევრისა.

* * * „დელი ტელეგრაფი“ შემდეგ ცნობებს იტყობინება ზავის პირველ მოლაპარაკების შესახებ: „შტეინმა, დევეტმა და დელარეიმ შეუძლებელი პირობები წარმოადგინეს. ბოტა, შალკ-ბურგერი და ლუკა მეიერი, პირიქით, მოწადინებული არიან ზავი ჩამოაგდონ, რაც უნდა დაჯდეს.

ბურების სარდლები ზრდილობიანად იქცეოდნენ, მაგრამ თან ცოტას ლაპარაკობდნენ და ყველაფერს იქვის თვალით უცქეროდნენ. მგზავრობის დროს ცოტას კითხულობდნენ, უფრო ერთმანერთს ებაასებოდნენ და თამბაქოს ეწეოდნენ. შტეინს ყველაზე უფრო უბედური გამოხედულობა ჰქონდა. იგი ნერვებ აშლილი და აღელვებული იყო. შტეინს მეტად აწუხებს თვალების ტკივილი. რამდენჯერმე ექიმი იყო მოწვეული.

პრეტორიაში ყველას შესაფერი სადგომი მისცეს და საპატიო დარაჯი მიუჩინეს. ბურებს ნება ჰქონდათ ენახათ, ვინც უნდოდათ და წასულიყვნენ, სადაც უნდოდათ, მაგრამ ინგლისელ ოფიცრის თანხლებით. გარდა ამისა მათ არ უნდა ელაპარაკნათ არც პოლიტიკაზე და არც ომზე. დელარეიმ ინახულა თავისი ქალი, რომელიც პრეტორიაში სცხოვრობს.

ბურები თხოულობდნენ: სამოქალაქო თვითმმართველობა; ყოველ ადმინისტრატიულ საბჭოში (თვით-მმართველობის შემოღებამდე) უმრავლესობა ბურები უნდა იქნენ; საკუთარი დროშა; ინგლისელ ჯარების გაყვანა ხუთის წლის განმავლობაში; დამოუკიდებლობა (ავტონომია?); ინგლისურ და ჰოლანდიურ ენების თანასწორობა; საერთო ამნისტია.

ლორდ კიტჩენერმა ფრთხილად შენიშნა, რომ ამგვარი პირობების მიღება ყოვლად შეუძლებელია. ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ ბურები თანდათან უთმობდნენ კიტჩენერს. ბოლოს, როგორც იქმნა შეთანხმდნენ. მიღებულ იქმნა ინგლისის პირობები: ამნისტია, დატყვევებულების დაყოვნებული დაბრუნება. მეტროპოლიის (ინგლისის) დანშნული მთავრობა და შემდეგ პარლამენტი, ორივე ენის თანასწორობა, დანგრეულ ფერმების აღდგენა, სანადირო იარაღის ტარების ნება, კაფრებს საარჩევნო უფლება არ ექნებათ.

18 აპრილს ბურების სარდლებმა მიიღეს ეს პირობები და წავიდნენ თავიანთ ჯარებთან მოსალაპარაკებლად“.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ფნეობაზე.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ,

თქმული ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში კვარაკეს მეოთხესა, განრდვეულსა, შემდგომად ადგსებისა.

განვავსა, რათა განიკურნოს.

ამნაირი კითხვა მისცა ერთხელ მაცხოვარმა, ერთად ერთმა მკურნალმა სულთა და ხორცთა ჩვენთა, ერთს დავრდომილ ავადმყოფ კაცს, განრღვეულს. ის იწვა ოცდა-თვრამეტი წელიწადი და ვერავინ ვერ მოარჩინა. ქალაქ იერუსალიმში იყო ტბა, ცხოვართა სამბანელი. ყოველ წელიწადს ერთხელ ანგელოზი ჩამოდიოდა და ამღვრევდა ამ ტბაში წყალს და ვინც პირველად მოასწრებდა ჩასვლას და ბანაობას განიკურნებოდა, რა სნეულებითაც უნდა ყოფილიყო იგი შეპყრობილი. ამისათვის მრავალზე უმრავლესი სხვა-და-სხვა სენით ავადმყოფნი იკრიბებოდნენ აქ და ელოდნენ, წყლის ამღვრევას. მათთვის ხუთი სტოა—კარიბჭე იყო გაკეთებული. აქ იწვნენ ავადმყოფნი და ყოველი მათგანი ცდილობდა სხვისათვის მოესწროს ამღვრეულ წყალში ბანაობა. განრღვეულს არავინ ყავდა ისეთი, რომ მისთვის შემწეობა აღმოეჩინა, სხვებზე უმალ მიეყვანა წყალთან და ჩაესვა; თვითონ კი ფეხზე წამოდგომა და გავლა არ შეეძლო. ყოველთვის სხვები ასწრებდენ და ასე ამნაირ მდგომარეობაში გაატარა ოცდა-თვრამეტი წელიწადი. დიდი მოთმინებაა! ოცდა-თვრამეტი წელიწადი კაცის მთელ სიცოცხლეს თუ არა, ნახევარს მაინც შეადგენს და ამოდენი ხნის განმავლობაში

ადამიანი ითმენდეს, სასოებას არ კარგავდეს და თანაც ყოველ წელიწადს იმედი უცრუვდებოდეს, დიდი უბედურებაა, დიდი ტანჯვაა. რასაკვირველია მაცხოვარი მიაქცევდა ყურადღებას ამნაირ ტანჯვას და უნუგეშოდ არ დასტოვებდა, მასზე მოწყალებას მოიღებდა. ამისათვის, როგორც კი დაინახა ეს ავადმყოფი, ჰკითხა: „გნებავს რათა განიკურნო?" ყოველი თქვენგანი მიხვდება, წარმოიდგენს, ძმანო ჩემნო საყვარელნო, თუ როგორ გაეხარდებოდა განრღვეულს ამ სიტყვების გაგონება ზეციურ მკურნალისაგან: «მსურს უფალო» მიუგო მან, „მაგრამ კაცი არა მყავს, რათა რაჟამს წყალი აღიმღვრეს და შთაცამაგდოს სამანელსა მას, ვიდრე მე მივიდოდე, სხვა უწინარეს ჩემსა შთავიდოს და განიკურნოს". როგორი ნაღვლიანი პასუხია, როგორი ღრმა მწუხარება იხატება ამ სიტყვებში, ქვის გულიც რომ ჰქონდეს კაცს, მაინც სიბრალულის გრძნობას აღუძრავს მას. მით უმეტესად ყოველად მოწყალე მაცხოვარი შეიცოდებდა ამოდენი ხნის ტანჯულ კაცს. ოცდა-თვრამეტი წლის წვალების შემდეგ მისცა მას შვება, განათავისუფლა სენისაგან ეს ბედკრული და უთხრა: „აღსდეგ, აღიღე ცხედარი და ვიდოდე". ავადმყოფი ადგა, აღიღო ლოგინი თვისი და წარვიდა. აი რას მოგვითხრობს დღევანდელი წაკითხული სახარება.

ახლაც ბევრნი არიან, კეთილ მორწმუნენო განრღვეულნი, ზოგნი ხორციელად და ზოგნი სულიერად: გონებრივ და ზნეობრივ. პირველნი ისე შესაცოდნი და საშიშნი არ არიან, როგორც მეორენი. ხორციელად დაუძლურებული, დასნეულებული ადამიანი ყოველთვის გრძნობს თავის ცუდმდგომარეობას, ცდილობს რამე სახსარი მოიპოვოს თავის საშველად და სიამოვნებით მიიღებს ყველასაგან დარიგებას და წამალს ამ სენის მოსასპობლად. საზოგადოებაც თანაგრძნობით ეპყრობა ავადმყოფებს, მათთვის აშენებენ ყველგან საავადმყოფოებს, თავშესაფარებს, სადაც წამალი მუქთად ეძლევათ და ექიმები უსასყიდლოთ სწამლობენ და უვლიან მათ. სულ სხვანაირია გონებრივ განრღვეულების საქმე. ისინი თავიანთ თავს საღ ადამიანებად თვლიან, წარმოდგენილი აქვთ, რომ ისინი ყველაზე უკეთესები არიან; უნდათ, ცდილობენ სხვებიც მათი მოაზრენი, მათი მიმართულებისანი გახდნენ. დიდ-გულობა, ზვაობა, ამპარტავანება-იხატება ყოველ მათ სიტყვაში და მიხრა-მოხრაში. რაც შეეხება ზნეობრივ განრღვეულებას, მათი რიცხვიც სამწუხაროდ ბევრია, ნამეტურ ქალაქებში, ვინემ სოფლებში. უწინ სირცხვილი მაინც იცოდნენ, თავიანთ სიწამხდრეს, დაცემულობას, განხრწნილებას მალავდნენ. ახლა კი მოურიდებლად, აშკარად ყველას თვალის წინ იმას ჩადიან, რაც ერთად ერთს პირუტყვს შეჰფერის. ოჯახი, ეს საფუძველი, საძირკველი კაცობრიობის კეთილ დღეობისა, შერყეულია. ცოლი ცოლად აღარ ითვლება, დედა დედობას აღარ სწევს, თავს ანებებს ქმარ-შვილებს და თავისუფლებას ეძებს. ქალი შეიქნება თუ არა გასათხოვარი, თავს ანებებს დედამამას, თავის ჭკუაზე დაიარება, არავითარ ყურადღებას არ აქცევს თავის გამზრდელთა დარიგებას. ვაჟი, შეიქნება თუ არა ასაკოვანი, მაშინვე დაიწყებს წანწალს და გადაემტვრევა ვისმეს იმისთანას, რომელიც დიდხანს ვერ გაუწევს ცოლობას, მალე გაეყრება; ან და თვითონ შეჩვეული სიწამხდრეს, გარყვნილობას, ვერ იქნება ერთგული, ცოლს გარდა სხვას ვისმეს აითრევს და მით ცოლ-ქმრობის კავშირს დაარღვევს. ზოგნი ცდილობენ მეტად ხელგაშლილად იცხოვრონ, თავიანთ შემოსავალს არ ჯერდებიან, ვალს იღებენ, გადახდით კი ვერ იხდიან და ამით სხვებსაც აღარიბებენ. დღე და ღამ ლოთობაში, ქაღალდის თამაშში ატარებენ და მით თავის სხეულს აუძლურებენ, დღეს იმოკლებენ. ერთობ ადრე იწყებენ ცხოვრებას, მალე ცდილობენ განცხრომით იცხოვრონ, მაგრამ ჩქარა მოსწყინდებათ, მობეზრდებათ ამნაირი დროს გატარება, სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და უდროოდ ესალმებიან ამ წუთისოფელს.

როდემდისინ უნდა გაგრძელდეს ჩვენი ასეთი სამწუხარო მდგომარეობა? ნუ თუ კაცი ერთ და იგივე მდგომარეობაში უნდა დარჩეს სამუდამოდ? ღმერთმა ნუ ქნას. მაშინ სულ დავიღუპებოდით. მაშ რა ვქნათ? ნუ თუ ვერავინ დაგვიხსნის ამ სამწუხარო მდგომარეობიდგან? კაცთაგან ვერავინ. მხოლოდ ერთად-ერთი ზეციური მკურნალი, მაცხოვარი, რომელიც ყოველ ჩვენგანს წამ და უწუმ ეუბნება: „გნებავს რათა განიკურნო?" მხოლოდ

..ს არის ჩვენი მხსნელი. ჩვენ კი ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ მიუგოთ, როგორც მიუგო განრღვეულმა: „გვსურს უფალო, მაგრამ არავინ გვყავს კაცთაგან, რომ გვიშველოს, მხოლოდ შენ, შენ გევედრებით გარდამოგვიელინო მადლი სულისა წმიდისა, გაგვწმიდო ყოვლისაგან ბიწისა და განგვინათო სულნი ჩვენნი“, მაშინ ჩვენც გავხდებით ღირსნი ამნაირივე პასუხისა, როგორიც აღირსა განრღვეულს: „აღსდეგ და ვიდოდე“. ამინ.

მღვ. მარკოზ ტეფმაღაძე.

ნარევი.

საფრანგეთის სამკურნალო წყლებზე ერთი კაცი გარდაიცვალა, რომელმაც სიცოცხლითვე ანდერძად დასტოვა, რომ ის მადრიდში (ესპანიაში) უნდა დაესაფლავებინათ. ერთი იმისი ნათესავი ქალი ამის გამო წავიდა რკინის გზის სადგურზე, რომ გაეგო, რა დაჯდებოდა მიცვალებულის გადატანა მადრიდში. აქ ქალს გამოუანგარიშეს, რომ მიცვალებულის გადატანა დაჯდება 750 მან. ეს ფული ძალიან ეგეერა ქალს და დაღონებული გამობრუნდა.

გზაში წამოეწია რკინის გზის ერთი მოსამსახურე და უთხრა:

—მე გავიგე, რომ თქვენ მიცვალებულის წაღება გინდათ და 750 მან. გთხოვეს; მე ამ საქმეს ძალიან იაფად დაგისვამთ. ჩააცვით მიცვალებულს; ორი კაცი მხრებში შეუსხდნენ და სადგურზე მოიყვანონ. მითომ დამბლად არის დაცემული; სადგურზე აიღებთ პირველი კლასის ბილეთს მადრიდამდის, რომელიც 25 მანეთი ღირს. მე და ერთ კანდუქტორს, რომელიც თვალ-ყურს დაიჭერს მიცვალებულზე ცოტა რამეს გვაჩუქებთ, მორჩა და გათავდა.

მეორე დღეს დილით ორმა კაცმა დიდ შალში გახვეული, ქუდ ჩამოფხატული თვალებამდის, მიცვალებული მოიყვანეს და პირველი კლასის კუპეში კუთხეში დასვეს. გზაში რამდენჯერმე შევიდოდა ხოლმე კუპეში კონდუქტორი და ჩუმად დაათვალიერებდა მკვდარს.

გზაში, კონდუქტორის შეუმჩნეველად, ერთი ინგლისელი ჩაჯდა იმ კუპეში, სადაც მკვდარი იყო. ინგლისელს ჩიბუხის მოწევა მოუნდა და ზრდილობიანად სთხოვა ნებართვა თავის თანამგზავრს; იმან რასაკვირველია, ხმა არ გასცა. უთუოთ სძინავსო, იფიქრა ინგლასელმა და ჩიბუხს მოუკიდა. მაგრამ რადგანაც ფანჯარის გაღება უნდოდა, რომ ბოლი გარეგ გასულიყო, ხელმეორედ მიუბრუნდა უცნობ მგზავრს:

—ნებას მომცემთ, ფანჯარა გავაღო?

ის კიდევ ჩუმად იყო.

„რა უცნაური კაცი ყოფილა“, იფიქრა ინგლისელმა. ამის შემდეგ ერთი საკვირველი ამბავი მოხდა ერთ სადგურზედ, როდესაც მატარებელი ერთი გზიდან მეორეზედ გადაჰყავდა, ვაგონები ძალიან ეხლებოდა ერთმანეთს, მგზავრი ბატაკზე დაეცა. მატარებელი კვლავ გზას გაუდგა. ინგლისელი საშინლად გაოცდა, რომ წაქცეული მგზავრი არა დგება და მიეშველა ასაყენებლად—ხელი რომ მოჰკიდა, ნახა რომ იმისი ხელი ყინულივით ცივია,

—საბრალო მგზავრი მომკვდარა, სთქვა ინგლისელმა და თან იფიქრა: „ამ დაწყევლილ მხარეში შეიძლება დამაბრალონ, რომ მე მოვკალი, როგორმე უნდა მოვიშორო თავიდან ეს უსიამოვნება“. ბევრი აღარ უფიქრია, დასტაცა მკვდარს ხელი გაიღო კარები და ამ გაქანებული მატარებლიდან გადაუძახა მინდორში!

პატარა ხანს უკან კონდუქტორი კიდევ შევიდა კუპეში და ხახა მშრალი დარჩა, რომ მგზავრი თავის ალაგს აღარ დახვდა. შემდეგ მიუბრუნდა ინგლისელს:

—თქვენი ბილეთი.—და მერე დაუმატა, თითქო მოაგონდა რამეო:

—მგონია, ამ კუპეში კიდევ ერთი მგზავრი მოდიოდა!

—ჰო, დიახ,—უპასუხა ინგლისელმა, და თან ცდილობდა, დამშვიდებულად ეჩვენებინა თავი...—მოდიოდა, მაგრამ უკანასკნელ სადგურზე ვაგონიდან გავიდა კარში.

შიშით და გაკვირვებით კონდუქტორი სულ გაქვავდა: „მკვდარი როგორ გავიდა კუპედანაო»!

რედაქციის პასუხი.

მმა მ—ს ნი—ეს. ერთ დროს ბატონი რიკოვისთანა საყვარელი და სარწმუნოების კაცი არავინ იყო. წირვა-ლოცვას არ აკლდებოდა და ღვთის-მსახურების დროს კლიროსზე მონაწილეობას იღებდა უბრალო მკითხველებთან და მგალობლებთან, მაგრამ რა ჩაიდინა ხომ იცით? საქვეყნოდ გამოუაშკარავებელი ანგარიშის ნუ გრწამს რა. ბნელითი მოკეული საქმე ძნელი სანდობია. ეხლანდელი განათლებულების სიტყვას საქმე არ ეთანხმება...

მდ. ი—ე შ—ს. დიდად გმადლობთ წერილის მოწერისათვის, რომელშიაც საჭირო ცნობები შემატყობინეთ.

რამდენიმე ჩვენს მკითხველებს. ჩვენთვისაც ძლიერ სასიამოვნოა, რომ ყველაფერი თავის დროზე ეცნობოდეს, მაგრამ არ ხერხდება. რომ იცოდეთ ჩვენი გარემოება, სულ სხვას იტყვით...

ᲓᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1902 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲙᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

„ᲛᲬᲧᲔᲛᲡ“-ᲖᲔ

Დ

ᲠᲣᲡᲣᲚ «ᲞᲐᲡᲢᲘᲠᲘ»-ᲖᲔ

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 „
— „ ორივე გამოცემა 5 „	— „ ორივე გამოცემა 3 „

ზაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ᲒᲣᲠᲐᲚᲐᲨᲘ** რედაქციაში, ქუთაისში ბ ნ ესტატე ღამბაშიძესთან, თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიოკუნაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; ახალსენაგში—ბლაგოჩინ მაგალარისტარ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორიეე გამოცემა **ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ.**

რედაქცია იმყოფება დ. **ᲣᲒᲠᲐᲚᲐᲨᲘ** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ᲑᲐᲠᲔᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲠᲔᲗ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲗ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲨᲘᲓᲐᲪ იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ: უმაღლესი დაჯილდოებანი.—განჩინებანი უწმიდესი სინოდისა სასულიერო პირთა დაჯილდოებებზე.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝᲒ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ: ბლაგოჩინების პირველი კრება ქ. ქუთაისში, 6 მარტს 1902 წ.—რედაქციების გასაფრთხილებლად. დეკ. დ. ღამბაშიძე.—საისტორიო მასალა, საქართველოს გაერთიანების ახრი მე-XVIII საუკუნეში (1789წ.).—ახლად ნაპოვნი იოანე პეტრიწის თხზულება.—კიდევ საყმაწვილო წიგნების შესახებ. ალ. ნათაძე.—ბეთანიის მონასტრის დათვალიერება ეპისკ. კირიონის მიერ.—შემოდგომის თაფლობა. რ. ჩიხლაძე.—ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-გაზეთებიდგან. ახალი ამბები და შენიშვნები.

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲒᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲨᲝᲜᲘᲝᲑᲐᲖᲔ: სიტყვა, თქმული ქვაშწმ. გიორგის ეკლესიაში კვირიაკეს მეოთხესა, განრღვეულისასა, შემდგომად აღესებისა, მღვდლის მარკოზ ტყემალაძის მიერ.—ნარევი. რედაქციის პასუხი.—განკხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 9 мая 1902 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елѣевъ

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.

მიერ გაშენებული ვენახი და ხიდის ბაღი. მისმა მეუფემ ეოფვლიფე მოიწონა, მადლობა უბრძანა მდვდელმონაზონს სპირიდონს ასეთის ეროგულის შრომისათვის და დაჭირდა შემწეობასა და დახმარებას.

ორშაბათს ეპისკოპოსი წამობრძანდა ფეხით ვერის ხეობისაკენ, გამოიარა ბარონ ნიკოლაის ბაღები და იქიდან ცხენით ჩამობრძანდა ტფილისში.

ის დიდი მონასტერი, სადაც დაცულია ჩრდილოეთის კედელზედ შეკვეთილი სურათი წმიდა თამარ დედოფლისა, კარგად არის გადახურული შავის თუნუქით, გუშაბთს-კი თეთრი თუნუქა ჭსურავს. წმიდა თამარ დედოფლის სურათის კარდა, აქვეა სურათი დავით სოსლანისა და ფაშა გიორგისა.

ბეთანიის მონასტერი, თუმცა წმ. თამარ დედოფლის მიერ აღშენებულად არის ცნობილი, მაგრამ სამხრეთის კედელზედ დარჩენილი მხატვრობა საბუთს გვაძლევს უფრო ადრე დროს მიგაწეროთ მისი აღშენება. ეს მხატვრობა ყარმოადგენს უცნობ მამა-კაცს, რომელიც ეკკლესიის მოდელს უძღვნის ღვთის-მშობელს. მონასტერი მთლად ეოფილა დასტული, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგან შერჩენია მხატვრობა. ამ მონასტრის კედლიდგან არის გადაღებული ცნობილ-მხატვარ—თ. გაკორნისაგან ის თამარის სურათი, რომელიც ეხლა სალხინია გავრცელებული. განსვლების დროს დიდის მონასტრის სამწირველოში უპოვნიათ ვერცხლის ბარძიმი, რომელიც ეოფილა შეწირული ბეთანიის ღვთის-მშობლის მონასტრისთვის გოსტაშაბარათაშვილისაგან 1677 წელს. წირვა-ლოცვა სრულდება ჰატარა ეკკლესიაში, რომელიც ამ ოთხის წლის წინად აკურთხეს.

მონასტრის მდგომარეობა მშვენიერია, მხოლოდ მისავალი გზა ჯერ არ არის გაკეთებული. მონასტრის განახლებას დიდი დახმარება გაუწია ნიგოიერად თ. კონსტანტინე ივანეს ძემ მუხრან-ბატონმა. ბევრი შრომა მიუძღვის ამ საქმეში არ. ქუთათელაძესაც.

სასურველია, რომ დიდის მონასტრის კურთხევის დღისთვის დაბრუნებულ იქმნას ძვირფასი საუნჯე ამ მონასტრისა—ბეთანიის ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც დროებით არის გადმოსვენებული თავ. ბარათაშვილების მიერ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

(„ივერია“).

შემოდგომის თაფლობა.

დასასრული *).

ფუტკრის ცხოვრება გაზაფხულის თაფლობის გათავებიდგან, შემოდგომის თაფლობის დაწყებამდე და თვით შემოდგომის თაფლობის დრო.

გაზაფხულის თაფლობის შემდეგ, დაახლოვებით ივლისის დამდეგიდგან (ჩვენ არ გვაქვს აქ სახეში მაღალი ადგილები, სადაც გვიანაა თაფლობა და თითქმის მთელ ზაფხულს გრძელდება) თაფლობა კლებულობს და ბოლოს სრულიად ისპობა, განსაკუთრებით გვალვიან წლებში. თაფლობის კლებას აჰყვება დედოფა და აკლებს მრავლობას, ბოლოს სულაც შეწყვეტს. ყოველ დღიური კლება ფუტკრისა (მუშაობის დროს ანუ სიბერით სიკვდილი), შემცირება და შეწყვეტა მოშენებისა არის მისი მიზეზი, რომ ზაფხულის გასულს ფუტკარი სკაში ძალიან ცოტა რჩება, ასე რომ ორ-სამ ფიჭას ძლივს ფარავს. მთელი წლის განმავლობაში ეს დროა მარტო, როდესაც შედარებით სხვა დროსთან, ცოტაა ფუტკარი. ამისთანა ცუდ დროს, ჩვენდა სამწუხაროდ, თან მოჰყვება ერთი უბედურებაც შუა ივლისში, ბარტყობის შემდეგ, გვეწევა ფუტკრის გაუმაძღარი მტერი—მწიფობელა (ფალეღვია, კირიონი). ის დაფრინავს გუნდ-გუნდათ, ცუდ ამინდში ტრიალებს საფუტკრესთან, კარგ ამინდში კი სულ ერთია, სადაც უნდა იყოს, ფუტკარს ყველგან იშოვის მინდვრად, იკერს ფრენაში და შეუბრალებლად ანადგურებს; თითო ფრინველს სჭირდება დღეში სამასზე მეტი. ხშირად ამ ფრინველისაგან მთელი საფუტკრე ისპობა. დამწვარზე დუღარე დაესხაო—რომ იტყვიან, ისე ხდება სწორედ—უბრალო ხალხი ამ ფრინველს ისეთ პატივსა სცემს, როგორც მერცხალს და მისი მოკვლა დიდ ცოდვად მიაჩნია. მწიფობელა მიდის ჩვენი ქვეყნიდან 23—25 სეკტემბ.

აგვისტოს თვეში ჩნდება შესაფერი ყვავილები, სხვათა შორის ქონდარიც და პირველი წვიმის შემდეგ იწყება ახალი მანანას ზიდვა. ჩაისხმის თუ არა ფიჭაში ახალი თაფლი, გაჩნდება თან პირველი კვერ-

*) იხ. „მწყემსი“ № 5, 1902 წ.

ცხებიც. დროის წვიმები ხელს უწყობენ ბარტყობას და შუა სეკედემბრამდის ფიქების უმეტესი ნაწილი მოკავებული იქნება ნაშენობით. ამ დროიდან ფუტკარი თან-და-თან ხელს აკლებს შენობას და უმთავრესს ყურადღებას აქცევს თაფლის შოვნას. ფიქები სიჩქარით ივსება თაფლით და იბეჭდება. შემდეგ თაფლიან ფიქებს ასქელებენ, უფრო ხშირად ძირიდან და ნაპირებიდან, ისე რომ ფიქა ხდება ჯამივით, რომლის ძრო ჯერ-ჯერობით ისევ საბარტყეთაა*).

ფუტკრის გამზადება შემოდგომის თაფდობისათვის.

თუ მეფუტკრის გონივრული ხელის წყობა ფუტკრისა და მისი გამზადება საჭიროა გაზაფხულის თაფლობისათვის, ამ ნაირი შემზადება ფუტკრისა ნამეტურ საჭირო უნდა იქნეს შემოდგომის თაფლობისათვის. ეს საკმაოდ ცხადია მითი, რომ გაზაფხულზე ფუტკრები ბუნებრივად მრავლდებიან და ღონიერდებიან. იგრძნობენ თუ არა გაზაფხულის მოახლოვებას, თითქმის შუა ზამთრიდან, თოვლ ქვეშ იწყებენ ბარტყობას და, თუ ცუდმა ამინდმა არ შეუშალა ხელი, უცბათ ავსებენ ბუდეს ახალი ფუტკრით. მაგრამ ესევე არ ხდება ზაფხულში. გაზაფხულის თაფლობის შემდეგ, ფუტკარი თითქმის აღარც კი ფიქრობს მეორე თაფლობისათვის და ხელმეორედ გამრავლებას მხოლოდ მაშინ უმატებს, როდესაც ბლომად დაინახავს თაფლიან ყვავილებს, თუმცა ისე გულით და ხალისით არც მაშინ ეკიდება. სამაგიეროდ გონივრული დახმარება ამ დროს უფრო საადილო და მოსახერხებელია, ვინემ გაზაფხულზე. მეფუტკრისათვის ზაფხულში სრულებით არაა საჭირო იზრუნოს სკების დათბუნებისათვის, ეცადოს მაშალი ფუტკრის უსარგებლო მოშენებას და ხელი შეუშალოს ფუტკრის ყრას, რაც უმთავრესი თაფლობის დროს ძალიან მავნებელი მოვლენაა.

მეფუტკრემ უნდა იცოდეს თავისი ადგილის უმთავრესი თაფლობის დრო და ფუტკარს უვლიდეს მის შესაფერად, რომ სრულიად მზად ჰყავდეს ამ დროისათვის, წინაღმდეგ შემთხვევაში ის ტყუილად ნუ ფიქრობს, რომ მეფუტკრეობისაგან რამე სარგებლობა ნახოს. ამ მიზნისათვის ის კი არაა მარტო საჭირო, რომ რაც შეიძლება ბევრი სკები იდგას საფუტკრეზე, არამედ ისაა უფრო და სასარგებლო, რომ რაც შეიძლება სკაში ბევრი ფუტკარი იქნეს. ის სკა, რომელშიდაც ფუტკარი ერთი-ორათ მეტია, შეკრებს თაფლს არა მარტო ერთი-ორად მეტს, არამედ ერთი-ათად და ერთი-თორმეტად მეტს. ბევრად უფრო სასარგებლოა ორი სკის მაგივრად ვიყოლიოთ ერთი სკა, რომელშიდაც იმდენი ფუტკარი იქნება, რაც იმ ორივეში ერთად. საზოგადოდ მეფუტკრემ უნდა იცოდეს, რომ 1) უმთავრესი თაფლობის დროს მხოლოდ ღონიერი სკები იძლევიან სარგებლობას, მაშინ, როდესაც სუსტები ძლივს აგროვებენ ზამთრის საკვებს და ხშირად ვერც იმას; 2) ორ ოჯახად გაყოფილი სკა იმუშავებს ბევრად იმაზე ნაკლებს, რასაც იმუშავებდნენ ერთად; 3) ახალი ფუტკრის გამოტეხა თხოულობს მრავალ თაფლს და შრომას ფუტკრებისაგან, და ამიტომ დასჯრება ბარტყობისა უმთავრესს თაფლობაზე, ანუ დაგვიანება მეფუტკრისათვის პირდაპირი ზარალია, რომლის აღდგენა შეუძლებელია; 4) მცოდნე მეფუტკრენ ადვილად შეუძლია თავის ნებაზე აბარტყოს ფუტკარი, როდესაც საჭიროა და შეაწყვეტინოს ბარტყობა, როდესაც არაა საჭირო.

მოსადონიერებელი ჭმეკა.

დედო კვერცხს სდებს იმოდენად, რამდენადაც მას კვებავენ ფუტკრები და ცარიელ ბუდეებს უმზადებენ; მუშა ფუტკრებიც თავის მხრით ხელმძღვანელობენ ამინდით, შენახული თაფლის რაოდენობით და ახალი თაფლის ნაშოვრობით. მაშ მეფუტკრეს შეუძლია აძლიოს თვითონ თაფლი ფუტკრებს ნაშოვრობის სამაგიეროდ და რიგიანად აკვებინოს მათ დედო, აგრეთვე დედოსაც აძლიოს საჭირო ცარიელი ფიქა კვერცხის ჩასადებად და ამნაირად აბარტყოს, როგორც თვითონ სურს.

ჭმეკა მხოლოდ მაშინ მოიტანს სარგებლობას, როდესაც ფუტკრებს თავის თაფლიც ბლომად აქვსთ ფიქებში. ამიტომ თუ ფუტკარი თაფლით ღარიბია, სანამ გასაღონიერებელ ჭმეკას დაუწყებდეთ, უთუოდ წინდაწინ ზედ-მეტად უნდა მისცეთ თაფლი

*) ამის მიზეზეთ, ამისთანა ადილებში ფუტკრის ყოლა სჯობიან იმისთანა სკებში, რომელთაც თაფლის განყოფილება ბუდის გვერდით აქვსთ და არა მაღლა, სადაც ფუტკრები ამ დროს უფრო ხალისით მუშობენ.

(მაგ. ჩაუდგამთ თაფლიან ფიჭებს, ან ერთბაშად აკმევთ უწყლო თაფლს და, თუ თაფლი არ არის, აკმევთ დუღარეში სქლად გახსნილ შაქარს).

შენიშნულია, რომ საღი სკა კარგი მოვლით ხრულს ღონეში ჩადგება ექვსი-შვიდი კვირის განშავლობაში, ამიტომ მოსაღონიერებელი კმევა უნდა იქნეს დაწყებული უმთავრესი თაფლობის დაწყებამდე 40—45 დღის წინათ. კვერცხის დება იწყება რამოდენიმე კვერცხით დღეში, მატულობს თანდათან ბარტყის მომვლელი ფუტკრის მოშენების დაგვარად და ადის 2000 და 3000-დე დღეში და ხანდის-ხან 4000-დეც (აქედგან ცხადად სჩანს, თუ რა მალე მოშენდება სკაში ფუტკარი რიგიანი ხელის წყობით). ახალი ფუტკარი შეუდგება გარეთ მუშაობას არა უადრეს 35 დღისა მის შემდეგ, რაც იმის გამოსატეხი კვერცხი დაიდო. საკმაოდ ღონიერ სკაში უნდა იყოს 50,000 მუშა ფუტკარი (გარეთ მუშა და ბარტყის მომვლელი), კარგ სკებში კი ფუტკრის რიცხვი ადის 70,000 – 80,000 და თითქმის 100,000-დეც.

თუ ერთხელვე დაიწყე კმევა, უნდა ბოლომდე გაჰყვე და იმას ადევნებდე თვალყურს, რომ ფუტკრებს საკმელი აღარ შემოაკლდეს, რადგან საკმლის ნაკლულევანება ბარტყობის დროს ფუტკრებისათვის ძალიან საზარალოა. თვალყურის დევნება ნამეტურ საჭიროა უმაღლეს თაფლობის მოახლოვებისას. თვითეულ ფუტკარზე, სანამ ის კარგად დასრულდებოდეს რომ ვიანგარიშოთ იმდენი თაფლი, ყვავილის ფქვილი და წყალი, რამდენიც ჩაეტევა ფიჭის თითო თვალში, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ერთი-ოთხად მეტი წონა ფუტკრისა (ერთი ფუტკრის გაზრდას სჭირდება ოთხი მისი წონა მასალა), მაშინ 40,000 ფუტკრის გაზრდას დასჭირდება ფუთამდე საკმელი, რომლის უმეტეს ნაწილს თაფლი შეადგენს (10,000 ფუტკარი იწონის $2^1/_2$ გირვ.; 10,000 ფიჭის თვალი, თაფლით გავსილი, იწონის 10 გრ. თაფლს).

კმევა, დაახლოვებით, იწყება მეოთხედი გირვანქიდგან თითო ძირზე, და პირველ ხანებში ეძლევა ორ-სამ დღეში ერთჯერ; შემდეგში კი კერძიც მატულობს და უფრო ხშირადაც ეძლევა თითქმის ყოველ დღე დანიშნულ დროზე. ეს ყველაზე უფრო საუმჯობესოა. ხანდისხან კი არ ხერხდება ყოველ დანიშნულ დროზე საქონელივით ფუტკრის კმევა— მეფუტკრეს ან დრო არ ექნება, ან საფუტკრე ექნება შორს და ან სხვა რაიმე მიზეზი შეუშლის ხელს, მაგრამ იმას კი მაინც უნდა ეცადოს, რომ საკმელი გამოულეველი იქნეს სკაში. მეფუტკრეს გული არ დაუჯერებს და ხშირად დაათვალიერებს სკებს რომ გაიგოს, თუ ფუტკარი როგორ მრავლობს. ამნაირი დათვალიერება ზაფხულის დღეებში არცაა მავნებელი, მხოლოდ რაკი უმთავრესი თაფლობა დაიწყება, მერე კი, რაც შეიძლება, უნდა ერიდოთ ფუტკრის დათვალიერებას.

საკმელი უნდა იქნეს საკმაოდ თხელი: ერთი ნაწილი შაქარი, ორი ანუ სამი ნაწილი წყალი და ცოტაოდენი მარილი. შეიძლება აგრეთვე აკმოთ წყლით გათხელებული თაფლი (თაფლის ერთი ნაწილი წყლის ორ ნაწილზე). შაქარი (რაფინადი) უნდა წყალში გადმოადუღოთ, თაფლისათვის კი ცხელი წყალიც კმარა გასაქნელად. ფუტკრებს უნდა მისცეთ, როდესაც საკმაოდ შენელდება ანუ ცივად.

ჭურჭელი საკმელისათვის იხმარება ყოველნაირი, ნამეტურ თუ გარეთ აკმევთ. მხოლოდ უნდა ეცადოთ, რომ ფუტკრები არ ჩაიხრჩონ შიგ. ფუტკარს სასუნთქავი ტანის ნაოკებში აქვს და თუ ტანი დაუსველდა, ადვილად იხრჩობა. ამიტომ ფეხის მოსაკიდებლად ჭურჭელში ბალახის ღეროები უნდა ჩაუყაროთ და რაც შეიძლება ბევრი, რადგან ბევრმა ფუტკარმა იცის ერთად დასევა საკმელზე და ერთი მეორეს ყრიან საკმელში და ახრჩობენ. საკმელი შეგიძლიათ გარეთ დაუდგათ ფუტკრებს, საფუტკრეზე, მაგრამ თუ სხვისი საფუტკრეა ახლოს, მაშინ იძულებული გახდებით შიგნივ შეუდგათ. ჩვენ ვაკმევთ ფუტკარს საღამობით თოხის ჯამით, რომელსაც ვსდგამთ თვითეულ სკაში სახურავ ქვეშ, ჩარჩოების თავზე, სადაც ფუტკრის ამოსასვლელად ერთ ადგილს ჩარჩოს გავწევთ. ზაფხულში ჩარჩოს გაწევა და სხვა ჭურჭეტანების გაკეთება ფუტკარს არ ავნებს, პირიქით სასარგებლოც არის ჰაერის გაშენდისათვის.

რაც უფრო მატულობს ფუტკარი სკაში, ისე უფრო უნდა უდიდდებოდეს მას სამარტყე ბუდე. მაგრამ მარტო ფუტკრის მრავლება არ კმარა, მასთან ერთად სათაფლე ფიჭებიც უნდა კეთდებოდეს, რომ უმთავრესი თაფლობის დროს თაფლის შესანახი ჭურჭელი ბლომად იქნეს და ფუტკრები მუშაობას

არ მოსცდენ. ფიქის კეთების დასაჩქარებლად ძალიან კარგია მანქანით ნაკეთები ხელოვნური ფიქა, რომელსაც ძალიან მალე და ადვილად მოათავებენ ხოლმე ფუტკრები. მაგრამ თუ ფიქის კეთება ძალიან დასაჩქარებელი არ არის, მაშინ თვითონ ფუტკრებს უნდა აკეთებინოთ ფიქები. მაშინ საჭიროა მხოლოდ თავ-თავის დროზე ჩაუდგათ ცარიელი ჩარჩოები, რომლებსაც სათავეში ან ფიქის ნაჭერი ექნება მიკრული, ან გამდნარი სანთლის ხაზი ექნება გასმული, რომ ფუტკრები წახალისდენ და მალე დაიწყონ მუშაობა. ჩასდგამთ მარტო ერთ ცარიელ ჩარჩოს უკანასკნელ მოთავებულ ფიქებს შუა და, როდესაც ამ ჩარჩოში ჩააკეთებენ ფიქას, შემდეგ სხვა ჩარჩოს ჩაუდგამთ ამ რიგათვე. ამავე დროს დათვალიერებთ ბარტყებიან ფიქებს, და იმ ფიქას, რომელშიდაც დედოს კვერცხის დება დაუწყია, გადასდგამთ სხვა ბუდეში, ბარტყებით სავსე ფიქებში და მის მაგივრად მიწევთ უკვერცხო მუშა ფუტკრის (მამლის არ ივარგებს) ფიქას.

ფუტკრის ქმევას ჩვენ ვიწყებთ კვირიკობისთვის შუა რიცხვებში და ვაგრძელებთ აგვისტოს დამლევამდე, რადგან ქონდრის უმთავრესი თაფლობა იწყება სექტემბრის დამდეგში; საქმლის რაოდენობა თანდათან მატულობს (მეოთხედი გირვანქიდან დაწყებული), თუ შუა აგვისტოდან წვიმები არ იქნა; თუ წვიმები იქმნა და ღამ-ღამობითაც კარგი ცვარი ექნა, მაშინ საქმელის მომატება საჭირო აღარ იქნება, რადგან ქონდარი ამ დროს საკმაოდ ყვავილობს და ამიტომ საჭირო თაფლს ფუტკარი თვითონაც მოიტანს.

უმთავრესი თაფლობა გრძელდება მთელ სექტემბერს და თუ თბილი წელიწადი იქნა, ოქტომბერიც ცოტათ ჩამოუვარდება სექტემბერს. რაც უნდა წვიმიანი და ცივი შემოდგომა იქნეს, რადგან შემოდგომის თაფლობა ძალიან დიდხანს გრძელდება, გონივრული ფუტკრის მოვლით ყოველთვის უფრო მდიდარი გამოდგება, ვინემ გაზაფხულის თაფლობა.

რაფიელ ჩიხლაძე



ჟურნალ-გაზეთებიდან.

ხშირად მოხდება, რომ კაცი მკვდარი ჰგონიათ და ასაფლავებენ; მაგრამ ეს ვითომდა მკვდარი საფლავში იღვიძებს და, ადვილად წარმოსადგენია, რა ჯოჯოხეთურ ტანჯვას ჰგრძნობს საბრალო. ასეთ შეცდომის მსხვერპლად უმეტეს შემთხვევაში ეპილეპტიკები და ისინი ხდებიან, ვისაც ხანგრძლივი გულის შემოყრა სჩვევია. ბევრი საშუალება აქვთ ექიმებს ამგვარ შეცდომათა ასაცილებლად, მაგრამ სავსებით მიზანს ვერც ერთი ვერ აღწევს. რენტგენის სხივები თვისის მომეტებულად რთულის მექანიზმით და მრავალთათვის ხელ-მიუწდომელ ფასით ვერ აკმაყოფილებს აგრეთვე დანიშნულებას. პარიჟის სამეცნიერო აკადემიამ ამ დღეებში ჯილდო მიუსაჯა მარსელელ ექიმს იკარს, რომლის გამოგონების წყალობითაც შესაძლებელი იქმნება ასეთ უბედურ შემთხვევის თავიდგან აცილება. ეს საშუალებაა: საეკვო მკვდარს ფლუორესცინს შეუშხაპუნებენ, რომელიც ძლიერ საღებავ ნივთიერებისაგან შესდგება. მეცნიერება გვეუბნება, რომ კაცის სხეული გარეშე ელემენტს მანამდე ითვისებს, სანამ მასში ნივთიერების გაცვლა-გამოცვლა არ შესწყდება. მაშასადამე, თუ გარეშე ნივთიერება ბარძაყში შეუშხაპუნეთ და შემდეგ მან ხელამდე მიაღწია, მაშინ ნივრიერების გაცვლა-გამოცვლა ეკვს გარეშეა. იკარისაგან შემოღებული ფლუორესცინის სითხე ისეთი ძლიერი საღებავია, რომ ერთი გრამი საკმაოა 45,000 ლიტრ წყლის შესაღებად; ამასთან იგი სრულებით უვნებელია. ფლუორესცინის შეშხაპუნების ორი წამის შემდეგ იწყება რეაქცია: კანი და განსაკუთრებით ლორწოიანი აპკა, მალე ძლიერად იცვლის ფერს. თვალის ქსელი ღებულობს ბრწყინავ მწვანე ფერს, გუგა სრულებით იკარგება და თვალის ბუდიდგან ანათებს ზურმუხტი. ცრემლი, ნერწყვი და შარდიც შეღებილია; სისხლის წვეთი, ერთ ჭიქა წყალში რომ გახსნათ, გამქვირვალე ღია-მწვანე ფერს მიიღებს. ერთი-ორი საათის შემდეგ ფლუორესცინი თირკმელების შემწეობით სრულებით იდევნება სხეულიდგან და ყველა დასახელებული მოელენანი უკვლოდ ჰქრება. ამ გვარად, თუ ფლუორესცინს არავითარი რეაქცია არ მოჰყვა, კაცი უკვე მკვდარად უნდა აღვიაროთ.

* * *

თავისას არ იშლის და ჩვენი არა ესმის რაო. არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ მრევლმა თავისი მღვდლის დარიგება არ შეისმინოს, თუ იგი მათ რიგიანად დაარიგებს და თვითონაც ხასიათის სიმტკიცეს გამოიჩენს. წინეთ ისე იყო დაყენებული საქმე, რომ სოფლის მღვდელი დიდ შემწეობას და ცხოვრების საშუალებას იღებდა მიცვ. სულის მოხსენების ასრულებიდან. ჩვენ ვიცით, რომ საჩივრებიც ხშირი იყო მცირე ხორაგეულობის მიცემისა და დაწუნების შესახებ. მრევლი ისე შეეჩვია ამ „ქელეხების, ცხვრების და საღმრთოების“ აღსრულებას, რომ, მართლადაც, მისი ერთბაშად მოსპობა ძლიერ ძნელია. მაგრამ მღვდელი უნდა ეცადოს და ყოველი ღონე იხმაროს სულის მოხსენების საქმე დააყენოს იმ წესზედ, როგორც იგი სრულდებოდა პირველ ქრისტიანებისაგან და როგორც თხოულობს ტიბიკონი ჩვენი ეკკლესიისა. აი როგორ ასრულებდენ პირველი დროის ქრისტიანები სულის მოხსენების საქმეს. დანიშნულ დღეებში მიუცილებლად უნდა შეესრულებინათ წირვა და პანაშვიდები. ვისაც შეძლება არ ქონდა, მარტო წანდილს მოამზადებდა და თითო კოვზს დაურიგებდა დამსწრე ხალხს. შეძლებულები უთუოდ მოამზადებდენ სანოვაგეს. მაგრამ დიდებულებს, მონათესავეთა და მეგობრებს კი არ მოიწვევდნენ შინ, არამედ მთელ სანოვაგეს ეკკლესიაზე წაიღებდნენ და იქ თავმოყრილ გლახაკებს და ღარიბ და გაჭირვებულებს დაურიგებდნენ და აჭმევდენ. შეძლებული კაცები ისე სასირცხოდ მიიჩნევდენ გარდაცვალებულთა მოსახსენებლად მომზადებულ საქმელების ჭამას, როგორც მათხოვრებთან ერთად დაჯდომას და ხელ გაშვერილი მოწყალების თხოვას. ტიბიკონისამებრ, ამ დამზადებული საქმლის მიღება შეეძლო გლახაკებთან მხოლოდ სამღვდელო და საეკ. მოსამსახურეთაც, რომელთაც საკუთარი ქონება არ ჰქონდათ. რომელნიც ეკკლესიებზე იდგნენ და მრევლი არჩენდა მათ. სანოვაგის მომზადება სულის მოხსენების დროს ამ მიზნით და ამ სახით, რასაკვირველია, დღესაც კარგი და საქები საქმე იქნება. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს სულის მოხსენების საქმე სულ უკუღმართად ესმის ჩვენს ხალხს. რამდენი კაცი ვარდება ვალში საკლავების სასყიდლად და რამდენი ხარჯი მიდის სულის მოხსენების შესასრულებლად? ვინ ხმარობს ამ ხორაგს და ვისთვის მზადდება იგი? შეძლებულთა, პატივცემულთა და დიდებულ პირთათვის, რომელთაც დღეს სრულებით სასირცხოდ არ მიაჩნიათ მიირთვან და შეექცნენ იმ საქმელებს, რომელნიც, ეკკლესიის ტიბიკონისამებრ, გამზადებული უნდა იყოს მხოლოდ გლახაკთა და ღატაკთათვის. რამდენი შემთხვევა ყოფილა, რომ გარდაცვალებულს თავისი ავადმყოფობისა და მოთხოვნილების დროს საშუალება არ ჰქონია, რომ ხორცის საქმელი ეშოვა და მისი სიკვდილის შემდეგ მრავალი მისი ცხოველები იკვლის და საზოგადოება დროს ატარებს!.. დრო არის, დრო, რომ სამღვდელოებამ ყურადღება მიაქციოს ამ საამწუხარო მოვლენას და სულის მოხსენების საქმე დააყენოს ისე, როგორც ამას თხოულობს ტიბიკონი და ძველი ქრისტიანული ჩვეულება. ჩვენი ეკკლესიის ტიბიკონით, პანაშვიდის შესრულების დროს საჭიროა მარტო წანდილი და არა აუარებელი სანოვაგე ცხოველების ტყავითა და შიგნეულობით... საქმელების კურთხევა სხვა არის და პანაშვიდი სხვა...

მათმა მეუფებამ კრებას უბრძანა, რომ „სამღვდელოების პირდაპირი მოვალეობა არის ხალხი მიაჩვიოს პირველ-ყოვლისა წირვის ასრულებას და ლოცვას ეკკლესიაში თავიანთ გარდაცვალებულთა მოსახსენებლად და თუ შეძლება ნებას აძლევს სანოვაგე მოამზადოს, მაგრამ შეძლებულთათვის კი არა, არამედ გლახაკთა, დავრდომილთა და გაჭირვებულთათვის“. სრული იმედია, მათი მეუფება იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი თავის მწყემს-მთავრულ ყურადღებას მიაქცევს ამ საამწუხარო მოვლენას და ხალხს იხსნის იმ დამღუპველ ხარჯებისაგან, რომელსაც ეხლა ჩადიან განსაკუთრებით სოფლებში სულის მოხსენების დროს. იმედია, რომ მათი მეუფება მისცემს ამ საგნის შესახებ სახელმძღვანელო ბრძანებას, რომ თვით სამღვდელო პირთა უჩვენონ სამწყსოს მაგალითი ისე, როგორც ნაბრძანები იყო თვალთმაქცური. გამოტირილის მოსასპობლად.

დამსწრე.

რედაქციების გასაფრთხილებლად.

ყოველ დღიური გაზეთების მდგომარეობა ამ ბოლო დროს მეტის მეტად გაჭირვებული შეიქმნა. რედაქციებს სურსთ, რომ საქართველოს ყოველ კუთხიდან მოსდიოდესთ საინტერესო ცნობები, საინტერესო ცნობების მოწერა კი შეუძლიათ მხოლოდ რიგიანად მომზადებულ კორრესპონდენტებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს რიგიანი კორრესპონდენტები, საქმის მცოდნენი და ჩვენი ხალხის ცხოვრების ნამდვილად თვალ-ყურის მდევნელნი არ არიან. დღეს ყოველ დაბაში ნამდვილ კორრესპონდენტების მაგიერ გამრავლდენ ესრედ წოდებული—მჯღაბნელი კორრესპონდენტები, რომელნიც დაწერილის სიმართლეს კი არ დაეძებენ, არამედ თავიანთ თავმოყვარეობას და სხვა რაღაცა ახირებულ მიზნებს გაჰყოლიან. სხვა-და-სხვა ცრუ ამბების წერის დროს სახეში აქვსთ არა საქმის დახმარება, არა სიმართლის გამოაშკარავება, არამედ თავიანთ ამხანაგების ქებადიდების შესხმა და წვრილმანი—სასირცხო და არა კეთილი მიზნები. ეს საცოდავი მჯღაბნელი კორრესპონდენტები ღობეს მოფერებით და სხვა-და-სხვა პსევდონიმების წყალობით, გაბედულად ისვრიან ტალახს. ადგილობითმა საზოგადოებამ კარგად იცის, თუ რა შვილები არიან ეს ჩვენი კორრესპონდენტები და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მათ ნაწერს, და არც რიგია მათ კაცმა ყურადღება მიაქციოს!..

ამ შემთხვევაში ჩვენ მივაქცევთ თბილისის ქართულ გაზეთთა რედაქციების ყურადღებას დ. ყვირილის ესრედ წოდებულ კორრესპონდენტებზე, რომელთა სახელია „დურბინდი“ და მისი კომპანიაა. ამ ვითომდა კორრესპონდენტმა „ცნ. ფურცელს“ დაბეჭდვინა შემდეგი სიცრუე: „ამას წინად გწერდით, რომ ყვირილის სამოქალაქო სკოლის დროებით სახლის დაქირავებისათვის და მის მოწყობისათვის კომიტეტი ამოირჩიეს მეთქი. კომიტეტი, რაღაც მიზეზისა გამო, არ მოქმედებდა და ამიტომ წარსულ კვირას ხელ-ახლა შეიკრიბა საზოგადოება და ნაცვლად ძველი კომიტეტისა ამორჩეულ იქმნა ახალი კომიტეტი. ახალი კომიტეტი საამდო პირთაგან არის შემდგარი. სახლი დროებით უკვე დაქირავებულია. ჯერ-ჯერობით არ არის გადაწყვეტილი, სად უნდა იქნეს აშენებული სასწავლებელი. ადგილს მუქთად იძლევიან სამ ალაგს: სამ ქცევა ალაგს სწირავენ საყვარელიძეები, სამს—ჟღენტი-გუნცაძეები და ხუთს კი ღამბაშიძეები. ეს უკანასკნელი ნაკერი მიწა დაშორებულია დაბაზე, ამიტომ ეკვს გარეშეა, რომ იქ სასწავლებელი არას გზით არ იქნება. დარჩა ორი ნაკვეთი ადგილი; როგორც მოსალოდნელი იყო, ამან გამოიწვია ცოტა უთანხმოება“ და სხვ...

კომიტეტს ჰქონდა მინდობილი საზოგადოებისაგან ადგილის მეპატრონეებთან მოლაპარაკება, თუ ვინ რა პირობით დაუთმობადა ადგილს სკოლის შენობისათვის და რამდენს. ეს კომიტეტმა შეასრულა. კომიტეტს ჰქონდა მინდობილი სახლი დაქირავებია სკოლისათვის. ესეც ამ კომიტეტმა შეასრულა რიგიანად და თავის დროზე. ნორმალური სკოლის ზედამხედველს სურდა სასკოლო ნივთებისათვის კომიტეტს გარდაეხდევინებია საზოგადოებისათვის 1014 მ. ჯ შეეტანა სახალხო სკოლების დირექტორის სახელზე, მაგრამ ჩვენ არ გავხდით თანახმა, როგორც წევრი კომიტეტისა, რადგან ჩვენ სასკოლო ნივთები უნდა მიგვეცა და არა ფულები და, სასკოლო ნივთები უფრო ნაკლები დაგვიჯდებოდა 1014 მანეთზე. სასკოლო ნივთების გაცემა ვაჭრობით სურდა კომიტეტს და დაბარებულიც იყვნენ ამ ნივთების გაკეთების მსურველნი. მაშ, რაში ვერ მოქმედებდა კომიტეტი? ღამბაშიძეებს მიწა ერთი ქცევის მეტი არა აქვსთ, რომელზედაც კიდევ დასახლებული არიან და საიდან მოქმოა ხუთი ქცევის მიწის შეწირვა ღამბაშიძეებისაგან „დურბინდმა“—ვერ გაგვიგია. მიწის ამორჩევაზე უთანხმოება ჩამოვარდაო. ეს ამბავიც სიცრუეა.

აი, როგორ სიცრუეს აბეჭდვინებენ გაზეთებს. ეს ეხლანდელი მჯღაბნელი კორრესპონდენტები და სპეციალ მეტად გაფრთხილებული იყვნენ რედაქციები. თუ ნამდვილად არ იცნობენ რედაქციები ცნობის მიმწერთ, არ უნდა ენდობოდენ ყოველ მჯღაბნელს და არ აცხადებდენ ცრუ ამბებს ნამდვილად. ამისთანა ცრუ ამბების ბეჭდვით, ბეჭვდითი სიტყვას რწმენა ეკარგება მკითხველი საზოგადოებისაგან და ამის წყალობით ნამდვილიც აღარა სჯერათ.

არის კიდევ ერთი შესამჩნევი თვისება ამ „კორრესპონდენტებისა“, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს რედაქციებმა. ხშირად პსევდონიმების წყალობით თავიანთ თავს აქებენ გაზეთებში!.. ხანდისხან კი ორი ამისთანა ცრუ კორრესპონდენტები ერთი ერთმანერთს აქებენ და ადიდებენ!..

ნეკ. დ. ღამბაშიძე

№ 10 1883—1902 30 მაისი

იმერეთის ეპარქიის გაბრიელის საქალებო სასწავლებელთან პანსიონის სახლის აშენების შესახებ.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ 1900 წლის დეკემბრის თვეში, იმერეთის სამღვდელოების კრებას მიეცა წინადადება იმერეთის ეპარქიის გაბრიელის საქალებო სკოლასთან პანსიონის სახლის აშენებაზე. იმ დროს თუმცა საჭირო ცნობები არ იყო შეკრებილი, მაგრამ სამღვდელოების კრებამ გარდასწყვიტა ექვსი წლით ათი მანეთის შემოტანა თითოეულ კრებულთაგან—თავიანთ საკუთრებიდან, რომელი ფულიც შეადგენდა ხუთი ათას მანეთს წელიწადში და ექვს წელში—ოც-და-ათი ათას მანეთს და სარეკბლით კიდევ მეტს. იმავე კრებაზე სამღვდელოებამ თავისი მხრით დანიშნა კომიტეტის წევრებად დეკ. დ. ღამბაშიძე, მღ. ტიმოთე კაპანაძე და მღ. სამსონ შენგელია, რომელთაც კრებამ დაავალა საჭირო ცნობების შეკრება სახლის ასაშენებელ ადგილზე, ხარჯთაღრიცხვა შენობისა და პირობების შემუშავება მოსწავლეთა პანსიონში მიღებაზე, რასაკვირვე-

ლია, მშობლების ხარჯით. მათმა მეუფემ კომიტეტის წევრებად დანიშნა საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს წევრნი აღნიშნულ სამღვდელოების დეპუტატებისაგან აღრჩეულ წევრთ გარდა და მოწვეულ იქმნენ ორი ექიმი: ერთი თვით სასწავლებლისა მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის კამერ-ლერი, წინამძღოლი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა, ექიმი თავადი ს. ლორთქიფანიძე, დოქტორი სამსონ ბესარიონის ძე თოფურია და ერთი ხუროთ მოძღვარი. ესენი შეიკრიბნენ და პირველად დაათვალიერეს სასწავლებლის ადგილები. ექიმებმა შესაძლებლად იცვნეს პანსიონის სახლის ასაშენებლად ის ადგილი, სადაც დღეს არის სანთლის ქარსანა, თუმცა ადგილები სასწავლებლის ახლოს ნესტიანია, მაგრამ სხვა-დასხვა საშუალების ხმარებით შეიძლება სახლის აშენება. რომელიც ჯანმრთელობისათვის მაგნებელი არ იქნებაო.

ამ კომიტეტს 20 მაისს კრება ჰქონდა, რომელზედაც ეველანი დაესწრნენ გარდა მღ. ს. მენგელიასა. ამ კრებაზე მსჯელობა იყო ადგილის გამორჩევის შესახებ პანსიონის სახლის ასაშენებლად, მიახლოვებითი პროექტის შემუშავება პანსიონის სახლის ეკვიზისა და სახლის ასაშენებლად ხარჯთ-აღრიცხვაზე. პანსიონის სახლის აშენება, რომელშიც შეიძლება მოთავსება ის სამოცი მოსწავლისა. ითხოვს ხუროთ მოძღვრის გამოანკარიშებით ასი ათას მანეთს. ამ ფულს, რასაკვირველია, ბევრი დაეკლდება თუ მივიღებთ სახეში იმას, რომ სილა და ქვა ადგილი მოსატანია აღნიშნულ ადგილზე. კრებამ საჭიროდ დაინახა თვითეული მოსწავლისაგან სრულს ხარჯზე შესატანი ფული იყოს დაწესებული თუთხმეტი თუმანი წელიწადში. ეს რაოდენობა ფულისა იმით იქნება გამოწვეული, რომ პანსიონში მოსამსახურე პირების ხარჯი და ჯამაგირიც იქიდან უნდა იქნეს დაფარული და ის სამოცი მოსწავლეს კარეა ბლომად დასჭირდება მოსამსახურენი როგორც პანსიონში ისე სამზარეულოში. ეოველი მოსახრება კომიტეტისა შემუშავებული იქმნება და წარედგინება მათ მეუფებას იმერეთის ეპისკ. ლეონიდს ამ შემდეგ სამღვდელოების დეპუტატების კრებას, რომელიც ალბათ, დაინიშნება ამა წლის ნოემბრის დამლევს, როცა იქნება საზოგადო ჩვეულებრივი კრება სასწავლებლის საქმეების შესახებ.

ერთი კომიტეტის წევრთაგანი.

«მწყემსის» კორრესპონდენცია.

ჯვარიდან (შორაპნის მაზრაშია).

ამა მაისის თვის 18-ს, ადგილობითი ბლაღოჩინის დეკანოზის დავით ლამბაშიძისაგან სოფლის აჭარის ეკკლესიის მრევლი იყო შეკრებილი მოსალაპარაკებლად სამრევლო სკოლის რიგიანი შენობის აგების თაობაზე, ნაცვლად დღევანდელი მტირეხის შენობისა. დიდხანს ებაასა დეკ. ლამბაშიძე შეკრებილ ხალხს. „ზოგიერთებისაგან, სთქვა დეკანოზმა, სამდურავიც კი გამიგონია რომ მე ვითომ, როგორც ამ საზოგადოებაში დაბადებული არ ვცდილვარ სკოლის გახსნის და აშენების საქმისათვის. მაგრამ ამისთანა აზრი სრულებით მოკლებულია სიმართლეს. თქვენ ვინც ახალგაზდანი ხართ, რასაკვირველია, არ გეცოდინებათ, მაგრამ აქ, მე ვგონებ, იყვნენ მოხუცებულნი, რომელთაც კარგად ეხსომებათ ის უშველებელი, გაუთავებელი უსიამოვნება ჩემსა და სახალხო სკოლის დირექტორს შორის აქ არსებული სკოლის შესახებ. ხომ იცით, რომ ამ

განაპირა ადგილას ააშენებინეს შროშის საზოგადოებას სკოლის სახლი, რომელიც დაუჯდა საზოგადოებას სამი ათასი მანეთი და ითხოვდენ, რომ შროშიდან, საწაბლიდან და სხვა სოფლებიდან ექვსი და რვა ვერსის სიშორეზე ევლოთ ბავშვებს. ახსოვს ზოგიერთებს, რომ როცა ერთი ბავშვი არ ყოფილა სკოლაში, საზოგადოება მასწავლებლის ფულს იხდიდა, ტყუილ უბრალოდ. ახსოვს ბევრს, რომ ვერაფერის გზით საზოგადოებამ სასწავლო ფულის ანგარიში ვერ მიიღო და სკოლა მარტო ქაღალდზე იყო, თორემ საქმით არ არსებობდა და ბოლოს სამი ათას მანეთად ნაყიდი სკოლის შენობა დალპა და თუთხმეტ თუმნად გაიყიდა- რა აბრკოლებდა სკოლის საქმეს? ის, რომ დირექცია და ბოჭაულები თხოვილობდენ, სკოლა და კანცელარიები რკინის გზის სიახლოვეს გაემართათ, მაგრამ საზოგადოება, რომ ძლიერ დაშორებულნი იყვნენ სკოლას და ბავშვებს რომ არ შეეძლოთ სიარული, ამას არ დაეძებდნენ. ისინი სკოლის შესანახავად მთელი საზოგადოებისაგან შეკრებავდენ ფულებს და ერთი სოფლის მეტი თუ ვერ ისარგებლებდა ამ სკოლით, ეს არ აწუხებდა მათ. აი სწორედ ამისთვის არიან უკმაყოფილონი დღესაც ზოგიერთ ადგილას ხალხნი. მე ვიცი, რომ თქვენი საზოგადოებაც მრავალჯერ იყო შეკრებილი, რომ ერთი სკოლა დაარსებულიყო საზოგადოებაში, მაგრამ თქვენ უარი უყავით და კარგადაც ქენით. ნაცვლად ერთი სკოლისა დღეს თქვენ საზოგადოებაში სამი სკოლა არის, როცა ხელმწიფე იმპერატორმა სამრევლო სკოლების წესდებულების უმაღლესად დამტკიცება კეთილ ინება ბრძანა, რომ მისთვის სასურველია, ყოველ სამრევლოში იყოს სკოლები, რომ ყოველს მრევლს შეეძლოს თავისი შვილის აღზრდა და სწავლება. დღეს მართებლობა ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ ეს სამრევლო სკოლები კეთილად წარემართოს და ამისათვის ფულიც არის გამოსული. ეხლა რომ მე თქვენ დაგიწყოთ ბაასი და მტკიცება სწავლის სარგებლობაზე და უსწავლელობის სიცუდეზე, ეს უადგილო იქნება. მე ვგონებ, თქვენ ყველანი დარწმუნებული ხართ, თუ რამდენად საჭიროა ჩვენი ბავშვებისათვის სწავლა. მოხდება ხანდისხან, რომ ზოგიერთი ნასწავლიც უკეთესართა და მავნებელი კაცი რჩება, მაგრამ ამას არ უნდა მიაქციოთ ყურადღება. ასში, რომ ერთი ბოროტი გამოვიდეს და სწავლით ვერ ისარგებლოს, ამას ყურადღება არ უნდა მიაქციოთ. უსწავლელობის ისე უნდა გეშინოდეთ, როგორც ველური ნადირისა. მშობლები უნდა ეცადოს აღზარდოს თავისი შვილი და სწავლა მისცეს. კაცს თუ ცოტაოდენი სწავლა აქვს, მაშინ ერთი მტკაველი მიწაც რომ არ ჰქონდეს, მაინც შიმშილით არ მოკვდება, შეიძლებს ცხოვრებას და სიმდიდრესაც შეიძენს. უსწავლელ შვილს ბევრიც რომ დაუტოვოთ, ხშირად ცუდად მოიხმარს და შენგან დატოვებული სიმდიდრე, მის დასალუპავად შეიქნება". შემდეგ მისცა წინადადება სკოლასთან საბალე ადგილის მოპოებისათვის და რიგიანი ქვიტკირის შენობის აგებაზე. საზოგადოებამ ერთხმად ითხოვა, რომ დღევანდელი ერთ-კლასიანი სკოლა გადაკეთდეს ორ-კლასიან სკოლად. დეკანოზი ღამბაშიძე დაპირდა მათ შუამდგომლობას, თუ იგინი სახლს ააგებენ რიგიანს და ადგილსაც მისცემენ. ამასთან დაპირდა სასწავლებლის საბჭოს მხრით შენობისათვის რამდენიმე ფულის დახმარებას და ერთი მასწავლებლის ჯამაგირსაც ხაზინიდან. საზოგადოებაში იქვე აღმოჩნდნენ რამდენიმე პირნი, რომელთაც ხელი მოაწერეს ათას ხუთას მანეთზე და ერთი ქცევა მშვენიერი ადგილიც დაუთმეს სკოლას. მრევლმა შეადგინა განაჩენი ათას-ხუთასი მანეთის შემოტანაზე, ერთი ქცევა ადგილის დათმობაზე და ყოველი მასალის მუქთად მოტანაზე სკოლის ასაშენებლად. ეკეშმარიტად დიდი მოსურნე არის ხალხი განათლებისა და დეკ. ღამბაშიძეც კმაყოფილი დარჩა საზოგადოებისაგან და აღუთქვა ყოველივე დახმარება სასკოლო წიგნებით და სხვ. ნივთებით.

XX

წერილი ზემო იმერეთიდამ.

საოცრად იზიდავს ჩემ გულს ძველი არქეოლოგიური ნაშთები. თუ სადმე ეკლესია-ციხეების ნანგრევები შევნიშნე, არ შემიძლია შორიდამ გულგრილად უყურო და, ძლიერ ძნელი მისადგომიც რომ იყოს უგზოობისა გამო, გული არ მომითმენს ახლოს არ ვნახო, ყველაფერი დაწერილებით არ დავათვალიერო. ასეთი ნაშთების დათვალიერების დროს უნებლიედ გადავდივარ გონებით იმ სასიქა-

დულო წარსულში, როცა ჩვენ ძველებს ძვალრბილში ჰქონიათ გამჯდარი ეკკლესიისა და მამულის სიყვარული, როცა ისინი ამ უწმიდეს გრძნობებს გამოხატავდენ არა მარტო სამშობლო ქვეყნისა და სარწმუნოების გასანადგურებლად შემოსეულ მტერთან მედგარი ბრძოლით, არამედ იმ უზომო შრომა-ხარჯითაც, რომელსაც ისინი უეჭველად ეწეოდნენ აუარებელი სამლოცველო-ტაძრებისა და ციხე-კოშკების აშენების დროს. დღეს რითი გამოხატავს ამ საპატიო გრძნობებს ჩვენი ახალ-თაობის უმეტესი ნაწილი, თუ არა თვეში ერთხელ უსულგულოდ ეკკლესიაში შესვლით და ღვინით შექეიფების დროს „აბა დელი-დელია, საქართველო ჩვენია; აღსდეგ თამარ დედოფალო, შენთვის სტირის საქართველო“-ს ღრიალით?! მართალია ყველაფერი დროზეა დამოკიდებული და დღეს ციხე-სიმაგრეები ჩვენთვის მაგრე საჭირო აღარ არიან, მაგრამ რომელმა ქრისტიანმა უნდა უარყოს დიდი მნიშვნელობა წმიდა ტაძრებისა და უდაბნოებისა, რომლებითაც მოფენილი ყოფილა ძველად კურთხეული ჩვენი სამშობლო, რომლებიც გამავრცელებელნი და განმამტკიცებელნი ყოფილან ხალხში სარწმუნოებისა და მეცნიერებისა და რომელნიც (ნაჟეტურ უდაბნოები) დღეს ასე სანთლით საძებარნი გამხდარან ჩვენში? ნუ მოვსთხოვთ აწინდელ ქართველობას ისეთ სარწმუნოებრივ ერთგულებას, როგორსაც ჩვენი ძველები იჩენდნენ; ნუ დავავალებთ მათ ახალი უდაბნოები დაარსონ, ან ისეთი დიდებული ტაძრები ააგონ, როგორიც ძველად ქუთაისში, გელათში, მცხეთაში, თბილისში და სხვაგან აუშენებიათ, მაგრამ ის კი მიუტევებელი ცოდვა იქნება ყოველი ქართველისათვის, რომ მამა-პაპათაგან ნაანდერძები ტაძრებისა და უდაბნოების განახლება-გაშენებისათვის არ იზრუნოს. საუბედუროდ დღეს საეკკლესიო საქმეებში მზრუნველობას მარტო აქა-იქ კერძო პირები თუ იჩენენ, თორემ საზოგადოება ამ შემთხვევაში ერთობ გულგრილია და ძალა-დაუტანებლად ხელსაც არ ანძრევს. ბრძანება და ძალ-დატანება ისეთ საქმეში, სადაც კაცს სარწმუნოებრივი გრძნობა უნდა ამოძრავებდეს, რაღაც კარგი არ გამოდის. რომ საზოგადოება ხშირად ძალდატანებითაც აღარაფერს აკეთებს ეკკლესიის სასარგებლოდ, ამის მაგალითს ჩვ სამრეველო სოფ. ღორეშიდამ მოვიყვან.

სოფელ ღორეშაში წინეთ ოთხი ეკკლესია ყოფილა და მათში დღეს დროთა ბრუნვისა და უფრო კი კაცთა გულგრილობისა გამო სამი გაუქმებულია. ადგილობრივი მღვდლის მ. ს. კ—ძის ერთგულებას ამ ეკკლესიების მარტო წმ. ტრაპეზები გადაურჩენია წაბილწვისაგან. ორი ამ ეკკლესიათაგანი, რომლებშიაც ამ ათიოდე წლის წინეთ კიდე სრულდებოდა ღვთის-მსახურება, ხის არიან, მათი სახურავი ამას წინეთ დიდმა თოვლმა ჩაამტვრია, დღეს ლპება უპატრონოდ მუხისა და წაბლის ხის მშვენიერი მასალა, რომელიც უკანასკნელი 400—500 მან. ღირს. ამის შესახებ ჩემს მოხსენებაზე ყ-დ სამღვდელომ ინება ჯეროვანი განკარგულება... მართალია, სოფელს ღორეშაში ამ ბოლო დროს აღშენდა მშვენიერი ქვის ტაძარი, რომელიც სამრეველოს ზოგიერთი მადლიანი კაცების შემწეობით კიდეც გვარიანად მოეწყო: შეძენილ იქმნა წმ. ხატები, 320 მან. ღირებული, ზარა და სხვა უსაჭიროესი საეკკლესიო ნივთები, მაგრამ ძველ სიწმიდეთა აბუჩად აგდება და შეუფერებელი პატივით დაცვა კი მაინც რაღაც უსიამოვნო გრძნობებს გამოიწვევს. რადგან ლაპარაკი ძველ ნაშთებზე ვიწყეთ, ამიტომ აქვე მოვიხსენიებ ერთ ადგილს თავისი ძველი ნაშთით.

სოფელ ღორეშიდამ ხუთი ვერსის მანძილზე აღმოსავლეთისაკენ, პატარა მდინარე კვადაურას ხეობაში, რომელიც სამი მხრით შემოზღუდულია სურამის მთის შტოებით, არის პატარა გორაკი, რომელსაც სახელად სავანეს ეძახიან. ეს ადგილი ძველად მართლა „სავანე“, ბერების საცხოვრებელი ადგილი ყოფილა. ამას ადგილის სახელწოდებას გარდა ის გარემოებაც მოწმობს, რომ ამ ადგილს დღემდის შენახულია მთელი კედლები საკმაოდ მოზრდილი (18×26 არშ.) ქვის ეკკლესიისა და განგებ მოვაკებულ-მოსწორებული ადგილები, სადაც ალბათ მონაზონთა სენაკები ყოფილან. თუმცა დღეს მონახსოვრე აღარავინ არის, მაგრამ მოხუცებულები მამა-პაპათაგან თვალით ნახულს მოუთხრობენ, რომ ბოლო დროს (ალბად 80—100 წლის წინეთ) სავანეში მოღვაწეობდა ერთი ბერი, რომლის ვინაობა დღეს არავინ იცის. ეს ბერი მარტო ცხოვრობდა თურმე ამ უდაბურ მთაში, ის ღრმა მოხუცებაში გარდაცვალებულა და მისი გარდაცვალების მოწამე

მარტო ღმერთი და მფარველი ანგელოსი ყოფილა. ერთ დილას, როცა სოფელ ღორეშიდამ კარგა ხნის შემდეგ რამოდენიმე კაცი ასულა სავანეში, ეს პატიოსანი მამა ეკკლესიაში უნახავსთ გულზე ხელებ დაკრეფილი და მისს სპეტაკ წვერ-ულვაშში თურმე ალმასებრ ბრწყინავდენ დილის ნამისაგან შემდგარი წვეთები. გულით მენატრება გავიგო რამე ამ წმიდა მამის ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ ვრცელი ამბავი მისი ცხოვრებისა, გარდა ზემოდ მოხსენებულ ორიოდე სიტყვისა, შთანთქმულია წარსულის წყვდიადში. თუმცა „სავანე“ იდრეც ნახული მქონდა, მაგრამ იმის უფრო დაკვირვებით სანახავად და სარწმუნოებრივი გრძნობის დასაკმაყოფილებლად აქას წინეთ გიახელით ღორეშის ეკკლესიის კრებული და სამიც ერის კაცი სოფელ ღორეშიდამ. მივედით სავანეში დილის 10 საათზე. იქ გარდავიხადეთ პარაკლისი და პანაშვიდიც სავანეში მოღვაწეთა სულის მოსახსენებლად და საღამოზე კმაყოფილი დავბრუნდით სოფელში. სავანე იმოდენად პოეტური ადგილია, რომ მისი სავსებით და ღირსეულად აღწერა შეუძლია მხოლოდ განსხვავებული ნიჭის პატრონს. მე კი უბრალო სიტყვით იმას მოვახსენებ მკითხველებს, რომ ეს ადგილი მართლა საუკეთესო სამონასტრო უნდა იყოს ზემო იმერეთში. იქვე ახლოს, 30—40 საჟენის მანძილზე, ჩაუდის ცივი წყაროებისაგან შემდგარი საწისქვილო და კალმახით მდიდარი კვადაური; ეკკლესიის კედლებიდამ 7—8 საჟენზე ამოჩუხჩუხებს მშვენიერი ცივი წყარო; სავანე და მთლად მისი მიდამოები შეადგენენ სახელმწიფო მთის კალთებს, სადაც მრავლისაგან უმრავლესია ყოველნაირი ხის საშენებელი მასალა. ყველა ამაების წყალობით, ქალწულებრივი ცხოვრების მსურველნი რომ გამოჩნდებოდენ, ამ მიუარდნილ ხეობაში მალე გაჩაღდება ცხოვრება, ის საქმეთაც შეიქმნება სავანედ მოღვაწეთა, რადგან იქ მალე აყვავდება მონასტერი, რომელიც სარწმუნოების მხრით უეჭველად დიდ სარგებლობას მოუტანს ახლო-მახლო სოფლებს.

მღ. ს. ჭუმბურიძე

საკურადღებო პროგრამა.

გაზეთების მკითხველებმა იციან, რომ კავკ. სასოფ. სამეურნეო საზოგადოებასთან ახლახან დაარსდა სასტატისტიკო ბიურო, რომელსაც საგნად აქვს შეაგროვოს სტატისტიკური მასალა ტფ. გუბერნიის სამეურნეო მდგომარეობის აღსაწერადა და შესასწავლად. ეს მეტად საჭირო საქმეა და ყველა ჩვენებურმა საზოგადო დაწესებულებამ და შეგნებულმა პირმა დახმარება უნდა გაუწიოს ხსენებულს ბიუროს.

როგორც ამას წინად ვაუწყეთ მკითხველთ, ბიუროს გამგემ ბ. ფილ. გოგიჩაიშვილმა კიდეც შეიმუშავა პროგრამმა იმისა, თუ როგორ და რა ცნობები უნდა იკრიბებოდეს; ეს პროგრამმა უკვე დამტკიცებულია და საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ იგი აქ სოფლის გულშმატკივართა და მეთვალყურეთა საყურადღებოდ.

1. ეტყობა თუ არა მომატება მცხოვრებთა რიცხვს? დიდია თუ არა ბავშვთა რიცხვი და რამოდენად არის მათში სიკვდილი გაბშირებული? რა პირობებში არიან მცხოვრებნი საბრდოსა, ჰიგიენისა, და ან ჯანმრთელობის მხრივ? როგორ მიმდინარეობს შინაური ცხოვრება გლეხისა და როგორ შეიძლება საზოგადოდ მისი დახასიათება კულტურის მხრით?

2. იმატა თუ არა უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მიწის სივრცემ?

3. როგორაა განაწილებული რომელსამე რაიონის მცხოვრებთა შორის მიწა? მსხვილი თუ წვრილი მიწად-მფლობელობა სჭარბობს რაიონში?

4. არის თუ არა დიდი განსხვავება ადგილმამულით დაკმაყოფილების მხრივ ადგილობრივ გლეხთა შორის?

5. არიან თუ არა გლეხთა ისეთი სახლობანი, რომელთაც არ შეუძლიანთ ცხოვრება მარტო იმ მიწით, რომელიც მათ სარგებლობასა ანუ საკუთრებაშია? რამდენად ბევრია რიცხვი ასეთ სახლობათა?

6. არიან თუ არა ისეთნი, რომელნიც სრულიად მოკლებულნი არიან მიწას, ე. ი. არა აქვთ მიწა არც მფლობელობაში, არც საკუთრებაში, აგრეთვე რომელთაც არა ჰქვთ კაპიტალი და სცხოვ-

რობენ მხოლოდ თავის დღიურ შრომით (პროლეტარები)? რამოდენად დიდია მათი რიცხვი?

7. ადგილობრივ მიდიან ქირით მუშებად თუ მიემგზავრებიან მოთხოვნილების და გვარად სხვა-და-სხვა ადგილებში?

8. როგორი პირობანი არსებობენ მიწების დასამუშავებლად დაქირავებულთათვის?

9. რამდენად მიდის წინ დროებით ვალდებულ გლეხებისაგან თავიანთ ჩამოკრილ მიწების გამოსყიდვის საქმე? რა მიზეზია გამოსყიდვის ნელის ნაბიჯით წინსვლისა?

10. როგორი ეკონომიური დამოკიდებულებაა თავად-აზნაურთა და თავ-დაუხსნელ გლეხებს შორის?

11. არის თუ არა საზოგადო მიწად-მფლობელობა და თუ არის რამდენად სასარგებლოა იგი სხვა-და-სხვა შეძლების გლეხთათვის? როგორ ხშირად ჰხდება მიწის გაყოფა და რა საფუძველზე ჰხდება მეოჯახეთა შორის მიწების დანაწილება? ყველა გლეხთა ოჯახები სარგებლობენ მათის საწილო ადგილებით, თუ ზოგიერთნი გადასცემენ ხოლმე თავიანთ მიწებს სხვებს? რა პირობებით ხდება ეს გარდაცემა?

12. ხშირად ჰხდება თუ არა სახლობათა გაყოფა (აღწერეთ)?

13. ხშირად ჰყიდიან ხოლმე მიწის მუშა ხალხზე მიწებს თუ არა? რა წამხალისებელი გარემოება უწყობს ამას ხელს?

14. რა ღირს ერთი დესეტინა მიწა ანუ ვენახი?

15. უკანასკნელ წლის განმავლობაში მოიმატა თუ არა მიწაზე ფასმა და რა მიზეზია მიწის გაძვირებისა?

16. ხშირია თუ არა მაგალითები გლეხებისაგან პატარა მიწების შეძენის მსხვილ მიწის მფლობელთაგან თავის ადგილ-მამულის გასაფართოვებლად?

17. ხშირად ჰყიდულობენ თუ არა გლეხები მიწის პატარა ნაკერებს იმ განზრახვით, რომ დიდი მამული გაიფართოვონ? რა გარემოებანი აიძულებენ ხოლმე მემამულეთ მამულის გაყიდვას?

18. შეუდგენენ თუ არა მიწის ნაკერების გაერთიანების (округление), იმ მიზნით, რომ აშორებული იქნეს მამულის დაკუწვა პატრონებ შორის (чересполосность земли) და რა გავლენა იქონია ამან წვრილ გლეხობათა მეურნეობაზე?

19. არსებობს თუ არა მიწის დაკუწვა სხვა-დასხვა მეპატრონეებში და რაში გამოიხატება მისი ეკონომიური უხერხულობანი?

20. არიან თუ არა ან რამდენი ისეთ გლეხობათა ოჯახობანი, რომელთაც იმდენი საკუთარი ადგილები აქვთ, რომ, თითონ რომ ვერ ასწრობენ მუშობას, იჯარით აძლევენ სხვებს?

21. უმეტეს ნაწილად ვინ არიან ეს მოიჯარადრეები?

22. რამდენად ხშირია მიწების იჯარით გაცემა? საიჯაროდ მთელი მამულები გაიცემიან ხოლმე თუ ცალკე ნაკერები?

23. როგორია მოიჯარადრეთა ეკონომიური მდგომარეობა და პირობანი იჯარისა? მოიმატა თუ არა უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში საიჯაროო გარდასახადმა?

24. მოიჯარადრეთა შორის არიან თუ არა ისეთი პირნი, რომელნიც წინად მესაკუთრენი იყვნენ, მაგრამ შემდეგ დავალიანებისა გამო თავიანთ წინანდელ კრედიტორების მოიჯარადრეებად გახდენ?

25. როგორი იურიდიული, ჩვეულებრივი და ეკონომიური დამოკიდებულებაა ხიზანთა და მემამულეთა შორის?

26. რა გავლენა აქვს მსხვილ და დიდ მეურნეობას წვრილ გლეხობისაზე? დიდს მეურნეთ ჰყავთ თუ არა დაქირავებული მუშები და რამდენი? წვრილ-მალი გლეხობა დღიურ ქირაზედ მუშობს თუ არა მსხვილ მეურნეებთან?

27. მუშობის დროს დახმარებას უწევენ მეურნენი ერთი მეორეს თუ არა და ამასთანავე რა მნიშვნელობა აქვს ამ ჩვეულებას მეურნეთა უღარიბეს ნაწილისათვის?

28. უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში შეუტანიათ თუ არა ტეხნიკური გაუმჯობესება სასოფლო მეურნეობაში? რაში გამოიხატება ეს გაუმჯობესებანი? (კირისაგან და ქვისაგან გაწმენდა; თიხის გატანა ყანიდან; მორწყვა; გაშრობა მინდვრებისა; ტყის მოშენება; ხევების ამოვსება ნიადაგის განოყიერება, შემზადება და სხვანი).

29. არის თუ არა განსხვავება მსხვილ და წვრილ მეურნეთა შორის ტეხნიკური გაუმჯობესების მხრით? დიდს მამულებში მეურნეობა უფრო ინტენსიურად წარმოებს თუ არა და თუ ამ მამულებისაგან უფრო

მეტი წმინდა შემოსავალია, ვიდრე წვრილ მამულებში თუ არა? როგორი გავლენა აქვს დიდის მამულების ინტენსიურად დამუშავებას წვრილ გლეხობის მეურნეობაზედ?

30. როგორაა აღნიშნულ რაიონში თესვის საქმე დაყენებული?

31. მიწების გასანოყიერებლად აყრიან თუ არა ნეხვს? ნეხვს გარდა მიწების დასაპატივებლად სხვა რა საშუალებას ხმარობენ და ან რა საშუალებაა ეს?

32. როგორი იარაღებით მუშაობენ საყანე მიწებს? რა ხორბლეულობა ითესება, როგორია სათესლე მარცვალი და ან როგორ ამზადებენ? არის თუ არა შემთხვევა მეურნეთაგან სხვაგან სათესლე ხორბლის შეძენისა? რამდენი საწყაო ხორბალი (პურისა, დიკასა, ქერისა, სიმინდისა, შვრიისა, ფეტვისა) ითესება ერთ დესიატინა მიწაზედ? არის თუ არა შემთხვევა თესვის დროს მანქანების ხმარებისა? როგორ არიან იგინი გაწმენდილნი? როგორ იფარება თესლი მიწაში? როგორის იარაღით იწევენ მოსავალს? ხმარობენ თუ არა მანქანებს? როგორ წარმობს ლეწვის საქმე? როგორაა მოწყობილი სალეწავი და რა ძალით მოძრაობს? როგორ ინახება მარცვალი?

33. რამდენ მანეთად შეიძლება დაფასდეს ერთი დესიატინა მიწის მოსავალი ყველა მცენარეთა გვარისა?

34. დაახლოვებით რამდენად დიდია მოსავალი ყოველ გვარ მცენარისა, ხორბლისა, ჩალისა და ბზისა თითოეულს დესიატინა მიწაზედ? ეხლანდელ ფასის მიხედვით რამდენად შეიძლება დაფასდეს ერთი დესიატინა მიწის მთელი მოსავალი?

35. რამდენადაა გავრცელებული აღნიშნულ რაიონში მეღვინეობა, მეპალეობა, მებოსტნეობა, შეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, ფრინველების მოვლა-მოშენება და მეჯოგეობა? აღწერეთ დაწვრილებით ტეხნიკა, ეკონომიური პირობანი და შემოსავლიანობა თითოეულ აქ დასახელებულ წარმოების დარგთა.

36. ბევრია თუ არა ისეთი გლები, რომელსაც არა ჰყავს საკუთარი მუშა საქონელი? ამ შემთხვევაში როგორია მათი დამოკიდებულება იმ გლეხებთან, რომელთაც ჰყავთ საქონელი?

37. როგორია საბალახოს პირობანი პირუტყვთა მოშენებისათვის? ითესება თუ არა ადგილებში ბალახი? არის თუ არა საძოვარი ადგილები და ან ვის ეკუთვნის და რა პირობებია მათით სარგებლობისა?

38. ფუქდება თუ არა სასოფლო მეურნეობის მცენარეულობა მავნებელ ცხოველებისა და მწერებისაგან და რომელისაგან? რა დროს და რა გარემოება უწყობს ხელს ყანების აოხრებას და რა საშუალებათ ხმარობენ აღნიშნულ ცხოველებისა ან მწერების თავიდან მოსაშორებლად? უმეტესად როგორი მცენარეები უფრო ნადგურდება ამ მტერთაგან და რამდენია ხოლმე მათგან ზარალი?

39. ფუქდება თუ არა მცენარეულობა ან იხოცება თუ არა შინაური საქონელი სხვა-და-სხვა ავადმყოფობისაგან? სახელდობრ, რა ავადმყოფობა იცის ადგილობრივ და რამდენადაა გავრცელებული? რა საშუალებით იშორებენ თავიდან ავადმყოფობას და ან როგორ აფერხებენ მის გაძლიერებას? რამდენად დიდია ავადმყოფობისაგან მოკლემული ზარალი?

40. ხშირია თუ არა სეტყვა და რამდენად დიდია მისგან მოყენებული ზარალი?

41. არის თუ არა აღნიშნულ რაიონში ტყე და ვის საკუთრებას შეადგენს ხაზინისა, საზოგადოებისა თუ კერძო პირებისას და რა პირობებითაა ტყით სარგებლობის საქმე ადგილობრივ მცხოვრებთათვის? როგორი წესი არსებობს სახაზინო თუ კერძო პირთა ტყეების დაცვისა? აშენებენ თუ არა ხელოვნურად ტყეს? რა ზომებს ღებულობენ ბუნებრივად ტყეების გასაახლებლად?

42. რა გარეშე მუშაობას (отхожіе промыслы) ეწევიან მცხოვრებნი და რა ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მათთვის ამ მუშაობას?

43. გლეხთა სახლობანი მისდევენ თუ არა შინა მრეწველობას? სახელდობრ რა ნაწარმოებებს აშზადებენ? წლის განმავლობაში მწარმოებელი რომელ დროს უფრო აკეთებენ შინა-მრეწველობის სხვა-და-სხვა ნაწარმოებებს? როგორი სახლობანი (ოჯახ მამულის მეპატრონენი, ღარიბნი, შეძლებულნი) უფრო მისდევენ შინა-მრეწველობას? აღწერეთ დაწვრილებით ტეხნიკა და ეკონომიური პირობანი შინა-მრეწველობის წარმოებისა და შემოსავლიანობა ამ მრეწველობისა. ფერხდება თუ უფრო წარმატებაში

მიდის შინა-მრეწველობა? პირველ შემთხვევაში, რაა მიზები შეფერხება—დაკვეთისა?

44. სასოფლო მეურნეობის რომელ ნაწარმოებებს უფრო ყოდიან მწარმოებელნი? სად არის ნაწარმოებთა გასასაღებელი ადგილი და რა მანძილზეა ბაზარი იმ რაიონის შუაადგილიდან, რომელსაც ეს ცნობები შეეხება?

45. როგორია გზები მიმოსვლისათვის? უკანასკნელს დროს დაიწყეს თუ არა რაიმე მუშაობა გზების გასაუმჯობესებლად და რამდენათ ნაყოფიერი იყო ეს მუშაობა?

46. ვინ არიან მყიდველნი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა? საზოგადოდ როგორ ხდება გასაღება ნაწარმოებისა? ცდილობენ თუ არა ვაჭრები (სახელდობრ როგორ) ხელოვნურად ნაწარმოებზე ფასების დაკლებას და რამდენად აღწევენ მიზანს? წლის რომელ დროს უფრო ნაკლები ფასია სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებებზე? ხშარობენ თუ არა მწარმოებელნი რაიმე საშუალებას, რომ შესუსტებული იქმნეს მათი მხრით ერთობაშად წარმოდგარი ვადამეტებული მოწოდება?

47. არსებობენ თუ არა სოფლის მეურნეთა ამხანაგობანი, რომელთაც საგნად ქონდეთ საამხანაგოთ სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა გასაღება, და თუ არსებობენ, რამდენად ნაყოფიერია მათი მოქმედება?

48. რამდენად ესაჭიროებათ მცხოვრებთ კრედიტი და როგორ იკმაყოფილებენ იგინი კრედიტის მოთხოვნილებას? წლის განმავლობაში რომელ დროს უფრო ესაჭიროებათ კრედიტი? ვისგან იღებენ სოფლის მცხოვრებნი ფულს ვალად,—თავიანთ მეზობლებისა თუ გარეშე კაცთაგან? რა საქმის კაცია კრედიტორი (ვაჭარი, მეღუკნე თუ მემამულე)?

49. რამდენად არის დავალიანებული გლეხთა ადგილ-მამული?

50. რამდენად დავალიანებულია სხვა წოდებათა მამულები?

51. არსებობენ თუ არა შემნახველ-გამსესხებელი კასები ან ბანკები და რამდენად ნაყოფიერად მოქმედობენ?

52. მოიპოვებიან თუ არა ისეთი პირნი, რომელთაც ფულის სარგებლით გაცემა გაუხდიათ თავის ხელობათ? თუ არსებობენ ასეთი პირნი, ვინ არიან ისინი (წოდება ან ხელობა) და რამდენად დიდია ხოლმე მათ მიერ აღებული სარგებელი? რამდენია სულ პატარა სარგებელი და რამდენი—სულ დიდი? იხდის ვინმე თუ არა სარგებელს მეშაობით და რამდენად დიდია ეს მუშაობა? კრედიტის რაოდენობა დამოკიდებულია თუ არა მოვალეს შეძლებისაგან (кредитоспособность)? დროს გასვლის შემდეგ ვალი განახლდება ხოლმე თუ არა ახალ ვადამდე და რამდენად მატულობს ამ დროს ვალის ჯამი?

53. არის თუ არა ისეთი შემთხვევები, რომ ფულს ასესხებენ ხოლმე მსურველს იმ პირობით, რომ მან ვალი გადაიხადოს მეურნეობის ნაწარმოებით? რა ნაწარმოებს უფრო ხშირად იგირავებენ გამსესხებელნი? ღებულობენ თუ არა გლეხები ფულს პურისა და ღვინის ვაჭრებისაგან მომავალ მოსავლის წინ და წინ მიცემით? ამ შემთხვევაში რა ფასად ეძლევათ ვაჭრებს მეურნეობის ნაწარმოებნი?

51. რამდენად გავრცელებულია მევახშეობა და რა და რა სახეები აქვს მას მიღებული? რა მიზეზია მევახშეობის გაძლიერებისა? უმთავრესად ვინ უფრო მევახშეობს? რა საშუალებას ხმარობენ მევახშენი, რომ თავისი მოვალენი მუდმივ ეკონომიურ დამოკიდებულებაში იყოლიონ და ან ხელში ჩაიგდონ მათი ქონება? წერენ თუ არა თამასუქებში (ვექსილებში) ნამდვილ ვალს გადიდებულად? ახდევინებენ თუ არა მოვალეებს ვექსილებში გადიდებულად აღნიშნულ ვალს?

55. გადადის თუ არა სოფლის მემამულეთა ადგილები მევახშეთა ანუ სხვა კრედიტორების საკუთრებათ და რამდენადაა გავრცელებული ასეთი მოვლენა?

56. რამდენად დიდია გადასახადები, როგორ აწერენ ხალხს და აგრეთვე რა ხარჯს ეწევიან მცხოვრებნი სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად? რა უხერხულობას გრძნობენ გადამხდელნი გადასახადის გაწერისა ან აკრეფის მხრით?

56. რა და რა ბეგარა აქვს ხალხს დავალებული? ხდება თუ არა გაწვევა ბეგარის შესასრულებლად ხალხისთვის მოუხერხებელ დროს?

58. რა და რა საშუალებანია საჭირო და საჭიროველი სასოფლო მეურნეობის წარმოებისა და სოფლის მეურნეთა ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ანტილის კუნძულების კატასტროფა. როგორც ტელეგრამებში იყო მოთხრობილი, ფორტ-დე-ფრანსში მოვიდა მეცნიერების ერთი ჯგუფი იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად საშიშია ძველი ვოლკანი კარბე, რომელსაც რამდენიმე საუკუნეა არ უმოქმედნია. მეცნიერების მეორე ჯგუფი სენ-ვინცენტზე მივიდა ვოლკან სუფრიერის მოქმედების შესასწავლად. იმედი აქვთ, რომ მეცნიერები გამოიკვლევენ კატასტროფის მიზეზს და იტყვიან, თუ რა მოელის ანტილის კუნძულებს.

ფორტ-დე-ფრანსში ისევ საშინელი მდგომარეობაა: მდიდარი და ღარიბი გაქცევას სცდილობს და გაიძახის—არ გვინდა საქმელი, ოღონდ აქედან წაგვიყვანეთო. გემების წასვლის დროს გულ-საკლავი სცენები ხდება, რადგან ვინც რჩება, ძალით სცდილობს გემზე ასვლას; სულ ტირილი და გოდება ისმის.

ფოტოგრაფიული სურათები დანგრეულ სენ-პიერისა 22 მაისს მოსულა ნიუ-იორკში გაზეთებმა უკვე დაბეჭდეს. ერთ ფოტოგრაფიაზე ხედავთ ქუჩის კუთხეს, სადაც 16 კაცი ჭერია; მათი მდგომარეობა ამტკიცებს, რომ ისინი ერთბაშად დაეცნენ მიწაზე სულ შეხუთულები იმ დროს, როცა გარბოდნენ. შენობები ყველა დანგრეული და დამწვარია; აგრეთვე ქვის კედლები, ტელეგრაფის სვეტები და სხვებიც.

ფრანგულ გაზეთებში დაბეჭდილია სენ-პიერის ერთი სკოლის მასწავლებლის წერილი, დაწერილი კატასტროფამდე. მოგვყავს ეს წერილი: „3 მაისი (20 აპრილი), დილის 5 ს. და 45 წ. ვოლკანი პელე მოქმედებს; მთელი ღამე იგი ფერფლს ისროდა; ქალაქს ნაცრისფერი ზეწარი აქვს გადაფარებული, დრო გამოშვებით ყრუ გუგუნი ისმის. რამდენიმე დღეა, რაც ძველი ვოლკანი გამოცოცხლდა ან, თუ ახალ თეორიას დავუჯერებთ, სულთ-ბრძოლაში არის. მის ახლო მდებარე ტბა დაშრა და გაჩნდა მეორე, რომელიც დუღს, როგორც გადნობილი ლითონი.

ძნელია ისეთი რამეს წარმოდგენა, რომელსაც შეეძლოს ისეთ ძლიერ შთაბეჭდილების მოხდენა, როგორიც გუშინდელმა სანახაობამ მოახდინა.

სკოლაში წავედი დილის 8 საათზე; მთა ნათლად სჩანს, რადგან გარს არ ახვევია არც ღრუბელი და არც ორთქლი; გაკვეთილის დასასრულს, 9 საათზე, დავინახე, რომ მასწავლებლებისა და მოსწავლეების ერთი ჯგუფი ფანჯარასთან იდგა და მთისაკენ იცქირებოდა. მეც იქითკენ გავიხედე და დავინახე, რომ უზარმაზარი კვამლი ადგა თავს კრატერს. შუადღეზე იგივე განმეორდა. 2 საათზე ცხადათ დავინახეთ, რომ კრატერი ქვებს ისროდა; შუადღამის ორ საათზე გამოგვაღვიძა გუგუნმა და ძალლების ყეფამ. სახლში გოგირდის სუნი იდგა; ოთახები ფერფლით იყო მოფენილი. ჩვენ ბულვარზე გამოვედით.

დილის 9 საათი და 4 წ. თვალებში ფერფლი გვაცვივა; ვულკანი აღარ სჩანს. გარს ახვევია სქელი ორთქლი. მიდამო კვამლით არის მოცული; მიწაზე სცვივა მეტად წმინდა ფქვილი. მივდივართ ნაცნობისას.

ბოტანიკურ ბაღის იქით წასვლა საშიშია და ჩვენც სხვა-და-სხვა მხარეს წავედით. ქუჩაზე მორბის გაგიჟებული აშეშებული ხარი; პატარა ფრინველებიც შიშით არიან შეპყრობილნი; მტრედები სამტრედეში შეიმალნენ, აგრეთვე შინაური ფრინველებიც; მიდამოებს მეტად შავბნელი სახე სდევს: მოდის ფერფლის წვიმა.

მივედი ნაცნობისას: აქ ყველაფერი დაუკეტიათ და ოთახებში სხედან ფერფლის მიზეზით; მთელი ღამე თურმე გაგუდვის ეშინოდათ. სხვა პირების სიტყვით, მთელი ღამე ელვა და რადაც უცნაური ცეცხლი სჩანდა თურმე მთაზე.

ღვთის მოსავი ადამიანები ეკლესიებში მირბიან სალოცავად და აღსარების სათქმელად... ჩვენი მეზობლები წავიდნენ და თან წაიღეს, თუ რამ ძვირფასი გაჩნდათ.

10 საათი. ისმის ბარაბანის ხმა. ეხლა ხან მოსული გუბერნატორი კომისიას უყრის თავს. მაღაზიები სულ დაკეტილია. როგორც სჩანს, ვოლკანის ამოხეთქას უნდა ველოდეთ; სუნთქვა თანდათან უფრო სქირს. გიგზავნი პაკეტით ფერფლს, რომელიც ჩვენ საწოლზე ავკრიფეთ. ფოტოგრაფებს გამოვართმევ ვოლკანის ამოხეთქის რამდენიმე სურათს და საფრანგეთში ჩამოვიტან“.

მიუხედავად ასეთი ნიშნებისა, საბრალო მასწავლებელს კიდევ იმედი ჰქონდა, რომ საფრანგეთში დაბრუნდებოდა.

*
* *

უძლიერესი, მთელის ქვეყნისათვის ზარ-დამცემი დიდ ბრიტანია ისეთ საშიშ მახეში გაება, რომ ბევრი მოელოდა მის ძლევა-მოსილების დამხობას, მის საქვეყნო, საერთა-შორისო მნიშვნელობის მოსპობას. მარტო ეს გარემოებაა იმდენად დიდმნიშვნელოვანი, რომ აწ დასრულებულ ომს საგანგებო ხასიათს აძლევს. ინგლისურ გაზეთის „დაილი ტელეგრაფ“-ის აზრით, ინგლისი ისეთს საშიშარს მდგომარეობაში იყო, რომ სიკვდილს მოელოდაო. ინგლისის ასეთი გაჭირვება,—იმ დიდებულის ინგლისისა, რომელიც მეთაურობს განათლებულ კაცობრიობის ცივილიზაციასა და პროგრესს, სამწუხარო და საშიში იყო განათლებულის ქვეყნებისათვისაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდ-ბრიტანიისაკენ არ იყო მიმართული საზოგადო სიმპატია-თანაგრძნობა. ეს უფრო დაიმსახურა მისმა მტერმა—ბურთა პატარა ერმა.

გასაოცარი და საქებ-სადიდებელი-გმირობა გამოიჩინა ამ ერთ მუჭა ხალხმა ვეებერთელა იმპერიასთან ბრძოლაში. აღფრთოვანებული სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის დიადის იდეალით, პატარა ერი დაუღალავად იბრძოდა და სისხლ-მოურწყველად არ დაუტოვებია ერთი მტკაველი მიწა თავის საყვარელ მამულისა. ომის დასაწყისშივე კრიუგერმა გამოაცხადა—ისეთს საქმეს ჩავიდენთ, რომ მთელი ქვეყანა განცვიფრდებაო. ეს აღთქმა გაამართლა: ბურები გაშმაგებით იბრძოდნენ, დიდი-პატარა თავს აკლავდა უთვალავ მტერს და ზღაპრულის თავგანწირულებით იელტეოდა. არსაიდან შველა, არსაიდან დახმარება მათ არ მიუღია; მარტო 300 ათასი ბური და საქვეყნო იმპერია მრავალ ას მილიონ მცხოვრებით იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ. დიდ-ბრიტანიამ მოიკრიბა მთელი თავისი ძალა, პატარა ერმა წინ დაუყენა უზომო სიყვარული სამშობლოისა, რომელმაც გამოაჩენია საკვირველი დიდსულოვნება.

ვინ გაიმარჯვა ამ საშინელს ტრაგედიაში? ბოლოს და ბოლოს ორთავე მოწინააღმდეგემ. ინგლისის დიდი პრესტიჟი შეურყეველი დარჩა. ბევრი წინასწარმეტყველობდა დიდ ბრიტანიის საერთა-შორისო მდგომარეობის შესუსტება აუცილებელიაო. მაგრამ ინგლისმა საკვირველი ძლევა-მოსილება გამოიჩინა, გაუძლო ასეთს ძნელსა და სახიფათო ომს, ცხრა-მთას იქით, გაუძლო გონებისათვის ძნელად წარმოსადგენს ხარჯს და თავისი საერთა-შორისო მნიშვნელობა-მდგომარეობა არა თუ არ შეურყეია, პირიქით გაამაგრა და გააძლიერა კიდეც.

მეორეს მხრით, ბურებმაც საპატიო მშვიდობიანობა მოიპოვეს. მათი თავისუფლება უზრუნველყოფილია. გმირულის ბრძოლით მათ დაიმკვიდრეს ისეთი მდგომარეობა, რომ ვერც ინგლისი, ვერც სხვა ვინმე ვეღარ გაბედავს შეზღუდოს ისინი თავის შინაურ ცხოვრებაში. ვის გაუგონია, რომ „დამარცხებულ“ მტერს ასეთს პირობებზე უწერდეს ხელს გამარჯვებული მოწინააღმდეგე? სრული ავტონომია შინაურ საქმეებში, პატივება ყველას, არა თუ ბურებს, არამედ თავისავე ქვეშევრდომთაც, რომელთაც „ულალატეს“ თავის სახელმწიფოს და ბურებს მისცეს მხარი, დაბრუნება ყველა ტყვეებისა, აღდგენა ყველა დაქცეულ ფერმებისა, ნივთიერ ზარალის ზღვევა, იარაღის ტარების ნება და სხვა,—ასეთი პირობები დამარცხებულის მტრისათვის ვის მიუცია?! ასეთს ზავს მხოლოდ დიდებული ერი უმკვიდრებს მამაცსა და უძლეველს მტერს. მართალია, კიტჩენერი განსაკუთრებით აღნიშნავს—ბურებმა კაპიტულაციას მოაწერეს ხელი; მართალია, ინგლისს მეფე ხალხისადმი ეპისტოლეში ამბობს—ჩემი ახალი ქვეშევრდომებიო, მაგრამ ეს უფრო ეროვნულ თავისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არის ნათქვამი და არა ფაქტიურ მდგომარეობის გამოსახატავად. კაპიტულაცია არის, მაგრამ ორთავე მოწინააღმდეგეთა მხრით, რადგან, თუ ბურებს აღარ შეეძლოთ ომის განგრძობა, აღარც ინგლისისათვის იყო შესაძლებელი კიდევ დიდხანს ასეთის «საშიშ-სასიკვდილო“ კრიზისის გაგრძელება.

*
* *

ლონდონის პალატის ქანდარა გაჭედილი იყო ხალხით. ბროდრიკს და ჩემბერლენს მიეგებნენ დიდის აღტაცებით. ბალფურმა წაიკითხა ბურთა თანხმობა ჯარის დამორჩილებაზე. პირველი მუხლით ბრძოლის ველზე მყოფი ბურები დაუყოვნებლივ დაჰყრიან იარაღს და უარს განაცხადებენ ბრძოლაზე, წინააღმდეგ მეფე ედუარდ მე-VII-ისა, რომელსაც კანონიერ მეფედ აღიარებენ; მეორე მუხლით ბურებს, რომელნიც ტრანსვაალსა და ორანჟეს გარეთ არიან და ყველა ტყვეებს სამხრეთ-აფრიკის გარეშე მყოფთ, აღიარებენ თუ არა თავიანთ თავს მეფის

ქვეშევრდომად, დაბრუნებენ სამშობლოში, როგორც კი მოაწყობენ იმათ გადაყვანის საქმეს; მესამე მუხლი: დაბრუნებულნი სრულიად თავისუფალნი იქნებიან როგორც თვითონ, აგრეთვე მათი ქონება. (ამ მუხლმა გამოიწვია ოპოზიციის მოწონება). მეოთხე: ამ რიგად დაბრუნებულნი არ მიეცემიან არც სისხლის და არც სამოქალაქო სამართალში ომით გამოწვეულ მოქმედებისათვის.

თუ მშობლები მოისურვებენ, ჰოლანდიის ენას ასწავლიან საზოგადო სკოლებში ტრანსვაალში და ორანჟეს კოლონიაში; იმავე ენაზე აწარმოებენ სამართალს სასამართლოებში, თუ ამას მოითხოვს საქმის წარმოების გაუკეთესება. ტრანსვაალში და ორანჟეს კოლონიაში იარაღის ტარების ნება მიეცემათ მხოლოდ იმ პირთ, რომლებისათვისაც ეს საჭირო იქნება დასაცავად თავიანთ თავისა და თუ მიიღებენ ამის შესახებ შესაფერს ნებართვას. სამხედრო მართვა რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს სამოქალაქო მართვაზე და, როდესაც კი მოხერხებულად იცნობენ, შემოღებული უნდა იყოს წარმომადგენელთა მმართველობანი.

კითხვა იმის შესახებ, მიეცეს თუ არა მკვიდრთ ამომრჩეველთა უფლებანი, გარდაწყვეტილი იქმნება შემდეგ თვით-მმართველობის შემოღებისა. განსაკუთრებით ხარჯს არ შემოიღებენ. ყოველ ოლქში დაინიშნება კომისია, რომელთა კრებებზე მიიღებენ მონაწილეობას ოლქის მცხოვრებნი; სამშობლო ადგილებში დაბრუნების გასაადვილებლად და დაბრუნების მსურველთა დასახმარებლად, ინგლისის მთავრობა მისცემს კომისიას 3 მილიონ გირვანქას. მთავრობა უარს არ იტყვის დახმარება აღმოუჩინოს სესხითაც ორი წლის ვადით, ზემოდ აღნიშნულ საგნისათვისვე იმ ფულიდამ, რომელიც თავისუფალი იქმნება ხარჯს გარდა. ამ მუხლებით სარგებლობის ნება არ მიეცემათ არც უცხოელთ და არც შემამხიზეთ (დიდი მოწონების ხმაა სამინისტროს დასისა).

ბალფურმა გამოაცხადა, რომ კიდევ საყურადღებო მუხლებია, რომლებიც არ არის შეტანილი კვირის ხელმოწერილ საბუთში.

რაკი ბურების წარმომადგენელთ ჩააბარეს პირი ხელშეკრულობისა, მილნერმა წაუკითხა განცხადება, რომლის ძალით კაპის და ნატალის მეამბოხეთ გაასამართლებენ კოლონიების ადგილობრივ კანონებით; კაპის მეამბოხენი თუ უბრალო ჯარის კაცები არიან, უნდა დაისაჯნენ არჩევნების უფლებათა ჩამორთმევით.

ბალფური განაგრძობს. ხელშეკრულობაზე ხელი უწერიათ ინგლისის მთავრობის სახელით კიტჩენერს და მილნერს, ორანჟეს მთავრობის სახელით —შტეინს, დეეტს, ოლივიეს და ჰერცოგს; ტრანსვაალის სახელით შალკ-ბურგერს, რეიცს, ლუიბოტას და დელარეის. ბალფურის შემდეგ ლაპარაკობს კემბელ-ბანნერმანი; აცხადებს, რომ მანამ ბალფური არ წარმოადგენს დოკუმენტებს არას შეჰნიშნავს და ამას უმატებს, რომ მალე იშუამდგომლებს პალატის წინაშე გამოეცხადოს მადლობა კიტჩენერს და ლაშქარს.

ქვეყნის ყოველ კუთხიდან მიიღო მეფემ მისალოცი დეპეშები სამშვიდობო ზავის ჩამოგდების გამო. იმპერატორმა ვილგელმმა და იმპერატორმა ფრანც-იოსებმაც გულითად მოლოცვის დეპეშები გამოუგზავნეს.

—ირლანდიაში მეფის მოადგილე ლორდს იმპერატორმა ვილჰელმა მადლობა გადაუხადა იმ მიღებისათვის, რომელიც აღმოუჩინეს პრინც ჰენრიხსა და იმის ესკადრას; ამასთანავე სურვილი გამოსთქვა, რომ ეს სტუმრობა კიდევ ერთ შემაერთებელ რგოლად იქმნეს ამ ორ მხარეთა შორის.

* * *

რომის მაჰის საჩუქრები. ამ უკანასკნელ იუბილეის გამო რომის პაპს, სხვათა შორის, შემდეგი საჩუქრები მოუვიდა: 28 პაპის გვირგვინი (ტიარა), 319 ჯვარი, ბრილიანტებით შეკედილი, 1,200 ოქროსი და ვერცხლის ბადია, ფიალა, 81 ბეჭედი, მათგან ერთი ხონჭერისაგან, 16 ოქროს დიდი კვერთხი, 7 ვერცხლის და ოქროს ქანდაკებანი. ბოლოს, ერთმა დიდმა მდიდარმა ამერიკელმა ქალმა გამოუგზავნა მეტად ძვირფასი ბურნუთის კოლოფი, რომელშიაც 250,000 ფრანკის ჩეკი იდო.

ახალი ამბები და შერეული ნაწილები.

* * როგორც „ივერია“ იუწყება, მემამულემ ხმოსანმა ი. ზ. გველესიანმა შესწირა ქალაქ ქუთაისს 5,000 მანეთი იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებლით, 300 მანეთით, დაარსდეს ერთი სტიპენდია რუსეთის ერთს უმაღლესს სპეციალურ სასწავლებელში შემომწირველის სახელზე. სტიპენდიის მიღება შეეძლებათ ქალაქ ქუთაისისა და მისის მაზრის მცხოვრებთა შვილებს ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად. ერთსა და იმავე პირს სტიპენდიით სარგებლობა შეეძლება არა უმეტეს ხუთის წლისა. სტიპენდია მიეცემა ისეთ პირს, რომელსაც ქალაქის საბჭო სცნობს ამის ღირსად.

* * დეკანოზს მამა სოლომონ ელიოზიშვილს შეუწირავს თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შენობისათვის ათი თუმანი.

* * ამას წინად გაზ. „Казбекъ“-ში იყო დაბეჭდილი ერცელი წერილი კავკავის ქართულ სკოლის მასწავლებლისა ბ-ნის ლ. ბოცვაძისა სახალხო საკითხავების შესახებ, რომელიც ცალკე წიგნაკადაც დაიბეჭდა. იმავე მასწავლებლის წერილია დაბეჭდილი „Вѣст. Воспитанія“-ს მაისის წიგნში მენჯურ მეთოდის შესახებ.

* * როგორც „ცნ. ფურც.“-ს ატყობინებენ, ბ-ნი თედო სახოკია რეიმსის სამეცნიერო აკადემიას თავის წევრ-კორესპონდენტად აურჩევია.

* * საერო განათლების მინისტრმა ნება დართო კავკასიის სამოსწავლო ოლქს ქალაქ დუშეთში დაარსებულ იქმნას სამ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი. ხაზინის მიერ სასწავლებლის შესანახად გადადებულ იქმნა წელიწადში 2,510 მანეთი, დანარჩენი ხარჯი ქალაქმა უნდა გაიღოს. ქალაქმავე უნდა დაიქირაოს შენობა სასწავლებლისათვის.

* * წელს „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრად არჩევის სურვილი განაცხადა სულ 160 კაცმა, რომელთაც კიდეც წარადგინეს საზოგადოების გამგეობაში საწევრო ფული—სულ 960 მან.; საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებამ 25 მაისს ყველა აღნიშნულნი მთხოვნელნი თავის წევრებად მიიღო.

* * საქართველოს ექსარხოსი ალექსი 28 მაის ბაქოდან ტფილისში დაბრუნდა.

* * როგორც აღნიშნული გვქონდა, რუსეთიდან კავკასიაში გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტმა სთხოვა ქალაქის გამგეობას ყოველწლიური შემწეობა აღმოეჩინათ კომიტეტისათვის ქალაქის საშუალებიდან. ეს თხოვნა ქალაქის გამგეობამ განიხილა და გადასწყვიტა აღნიშნულ კომიტეტს ყოველ წლობით 100 მანეთი შემწეობა მიეცეს.

* * როგორც „ცნ. ფურც.“-ს შეუტყვია, ქუთაისის საზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტს განუზრახავს ააგოს სკოლისათვის საკუთარი შენობა. თუმცა ამ ჟამად კომიტეტს ხელში ერთი კაპეიკი არა აქვს, მაგრამ, თუ კი მოინდომებს, შეუძლებელი აქ არაფერია. არც ტფილისის საზნაურო სკოლის კომიტეტს ჰქონია მილიონობით ხელ-უხლებელი თანხა, სენაკის სასწავლებელს ერთი კაპეიკიც არ ჰქონია, მაგრამ შრომამ და ენერგიამ ყოველ-გვარი დაბრკოლება გადალახა და თავისი გაიტანა: სენაკის სკოლა თავის შენობაშია მოსვენებული და ტფილისისაც მალე მოისვენებს. საქმეს ხეირიანი მოთავე, ხეირიანი დამწყები უნდა, რომ საზოგადოებას დაანახვოს თავისი შრომა, და მაშინ უკანასკნელიც ყოველ-გვარ დახმარებას, გაუწევს. ჩვენ თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ ქალაქი სკოლისათვის საკირო ქვას უფასოდ მოაკუტეხინებს ეკლარის მადანში. ბევრია ჩვენში შეძლებული თავადები, რომელნიც ერთსა და ორიათას მანეთს, ფულად იქნება ესა თუ მასალით, არ დაიშურებენ ამ კეთილი საქმისათვის. ოღონდ როგორმე საფუძველი ჩაუდგეს საქმეს და მერმე, თუ ერთბაშად ვერ გავათავებთ, ნელ-ნელა მივყვეთ და ვაშენოთ. ხუთი წლის, ათი წლის განმავლობაში ხომ მაინც აშენდება და ესეც დიდი ღვთის წყალობა იქნება.

* * ტურინის ქალაქის ერთს ეკკლესიაში, აგერ ცამეტი საუკუნეა, რაც ინახება ერთი არდაგი, რომელსაც იხსენიებენ იმ არდაგად, რომელითაც შესუდრული იყო გვამი იესოსი. დღემდისინ არ გამოუკვლევიათ მეცნიერებს ეს არდაგი. ხოლო ამ ბოლო ხანში, როგორც მოგვითხრობს ერთი ფრანგული ჟურნალი, გამოუკვლევიათ იგი მეცნიერებს და შესამჩნევი ნიშნები უნახავთ, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს არდაგი სწორედ ის არის, რომლითაც შესუდრული იყო ქრისტე. შემდეგში ჩვენ დაწვრილებით მოუთხრობთ ამ არდაგის ისტორიას ჩვენ მკითხველებს.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ეკეთილმსნეობაზე.

სიტყვა,

ამპარტავნობაზე.

ღმერთი ამპარტავანთა შემუსრავს, მხოლოდ მდაბალთა მოსცის მადლი (I პეტ. 5. 5).

საიდგან წარმოდგება ამპარტავანობა და ვინ არის ამპარტავანი კაცი? როდესაც ვინმე თავის თავზე იფიქრებს იმაზე მეტს, რაც არის, როდესაც რაც აქვს, ჩასთვლის ნაყოფად მხოლოდ თავისი შრომისა, მეცადინეობისა, გამჭრიახობისა და მოხერხებისა, როდესაც დაავიწყდება, რომ „ყოველივე მოცემა კეთილი და ყოველივე ნიჭი ზეგარდამო არს შთამომავალი მამისაგან ნათლისა“, მას ამპარტავნობა დაებადება გულში. „დასაბამი ამპარტავნობისა კაცისა. განშორება უფლისაგან, რამეთუ დამბადებელისაგან მან განიშორა გული მისი“ არის ნათქვამი საღმრთო წერილში (ზირ. 10, 14).

ამ სენით აღჭურვილი კაცი ზიზღით უყურებს სხვებს, მათ ცხოვრებას დიდ მნიშვნელობას არ აძლევს და ყოველთვის დაცინვით იხსენიებს. თავის აზრს ყოველთვის მაღლა აყენებს, არასოდეს სხვის აზრს არ დასთანხმდება, ან სულ უარს ჰყოფს, ან და თავის მხრივ რასმეს მიუმატებს; სულ ცოტა რამეზე ასტეხს გაუთავებელ ბაასს—დავას და ეცდება უსათუოდ თავისი აზრი გაატაროს-გაიყვანოს. რომ კიდევაც იცოდეს, გრძნობდეს თვისის აზრის უსაფუძვლობას, მაინც ცრუ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევს ვისმეს დასთანხმდეს და იმით ვითომც თავის თავი დაიმციროს. ამნაირი კაცი სულ სხვას უსწორებს, ასწავლის, თვითონ კი არავისგან არ უნდა მიიღოს შენიშვნა, რაც უნდა კანონიერი იყოს იგი. არასოდეს კმაყოფილი არ არის თვისი მდგომარეობით და რაც უნდა კარგი ადგილი ეჭიროს მაინც ფიქრობს უკეთესის ღირსი ვარო. გარეგნულად, ზოგს სულ-თვალსაჩინოდ ეტყობა, რომ გოროზია, დიდგული, ზოგი კი ძნელად საცნობია. ზოგს ყოველისფერში: სიარულში, ლაპარაკში, მიხრა-მოხრაში, ასე გასინჯეთ, ლოცვის დროსაც კი (ლუკ. 18, 11). ეტყობა ამპარტავნობა, ამაყობა, ზოგი კი ცდილობს დამალოს, დაფაროს და არავის შეამჩნევიოს ეს ნაკლულევანება. პირველს უყვარს ქება-დიდება, შესხმა და ყოველ შემთხვევაში ეძებს თავის გამოჩენას, სურს მასზე ილაპარაკონ, მას თაყვანი სცენ; უყვარს ვინც მას აქებს და სძღულს, ვინც შენიშვნას აძლევს. მეორე კი ყოველივე ამას უარსა ჰყოფს, უნდა ყოველთვის დაკეტილი იყოს, მას არავინ შეეხოს, იმაზე არავინ ილაპარაკოს. ზოგში ამპარტავნობა მოქმედობს როგორც გველი, ზოგში კი, როგორც ალი ცეცხლისა. პირველი თავს არ გიჩვენებს გარეგნულად, რომ შენსაგან არის ის შეურაცხყოფილი, თუმცა ყოველ ჟამს მზად არის სამაგიერო ერთი ათად გადაგიხადოს, მეორე კი თვალსაჩინოდ, ყველასათვის გასაგებად, მისახვედრად, საგრძნობლად გამოხატავს თავის უკმაყოფილებას, ნაწყენობას და სამაგიეროს გადახდას. ზოგნი ამპარტავანნი ამჩნევენ რა თავიანთ შეცდომას, რაშიმე დანაშაულობას, ცდილობენ დამალონ, და, ხშირად შეტრფიალებენ ისეთ თავიანთ მოქმედებას, რომლისაც მათ უნდა რცხვენოდესთ; ზოგიეროებს კი აღზრდა და ნიჭი ნებას არ აძლევსთ შეიგნონ თვისი ცუდი ქცევა და მათ მუდამ გონიათ კარგად ვიქცევითო.

აქ საჭიროდ ვრაცხ შეეწიშნო, რომ არიან ისეთნი თავმოყვარენიც, რომელთაც თავი მოაქვთ თვისი შთამომავლობით, სილამაზით, ტანისამოსით, ლამაზი ცოლით, კარგი მოსამსახურით, ცხენით. ამათ ხშირად უწოდებენ ამპარტავანებას, მაგრამ ესენი სრულებით მოკლებულნი არიან ამ გრძნობას. ნამდვილი ამპარტავანი კაცი სრულებითაც არ აფასებს, რაც მის არსებით თვისებას არ შეადგენს, რაც მისი შრომის ნაყოფი არ არის. უკეთ რომ ვსთქვათ, ამპარტავანები კი არა, თავ-მოწმო-

ნენი არიან. ამათ შორის დიდი განსხვავებაა. პირველნი აფასებენ, ყურადღებას აქცევენ თავის შრომის ნიჭს, ხოლო მეორენი გარეგან შეხედულობას, შთამომავლობას.

ვინ იტყვის, ძმანო ჩემნო საყვარელნო, რომ დიდგულობა კარგია და მოსაწონი? ამპარტავანი, გულ-ამაყი კაცი ღმერთსაც სძულს და კაცსაც. „სიძაგელ არს წინაშე უფლისა კაცთა ამპარტავნობა“, ნათქვამია საღმრთო წერილში (ზირ. 10, 7). რომ კარგად დაუკვირდეთ ჩვენ ცხოვრებას, ხშირად შევნიშნავთ, რომ „ღმერთი ამპარტავანთა მუსრავს მხოლოდ მდაბალთა აძლევს მადლს (1 პეტ. 5, 5), რათა დაანახვოს პირველ ამათგანს არარაობა (მისი), რითაც თავი მოაქთ. მაგ. დაიწყებს ვინმე დიდგულობას ბდგილით, მალე წაართმევს, სიმდიდრით, მალე მოუველინებს შემთხვევას, გაჭირვებას, რომელიც უკიდურეს მოგომარეობაში ჩააგდებს. ან და შენ იმედი გაქვს შენმა სიმდიდრემ სახელოვან კაცად გაგხადოს, მაგრამ ღმერთი გიჩვენებს შენ შენზე გაცილებით ღარიბს, რომელიც შენზე უკეთ ასრულებს თავის მცირე საშუალებით მეტს, ვინემ შენ. შენ იმედი-გაქვს-შენ-ნიჭისა, შენი მჭერმეტყველობისა და ფიქრობ, ბევრს რასმეს გააკეთებ, მაგრამ ღმერთი გიჩვენებს ისეთ პირს, რომელსაც შენოდენი ნიჭი არა აქვს, მაგრამ გაცილებით მეტს აკეთებს, საკგებლობა მოაქვს და ამნაირად უმტკიცებს ამპარტავანთა, რომ თუმცა თვითონ დიდად აფასებენ თავიანთ თავს, მაგრამ ღმერთი და საზოგადოება მათში აგრე რიგად არ საჭიროებენ. ამპარტავანთა საშუალებით კი არ ასრულებს ღმერთი თავის განზრახვას, არამედ მშვიდთა, მდაბალთა ირჩევს ამისათვის. მაცხოვარმა ამოირჩია მოწაფეებთ მშვიდნი და არა ისინი, ვისაც ძალა ჰქონდათ, რათა ეჩვენებია ყველასათვის, რომ ძალა მისი უძლურებასა შინა სრულ იქმნების (2, კორ. 12, 9). ნათქვამია მსგავსს მსგავსი მოსწონს, უყვარსო, მაგრამ ამ შემთხვევაში კი სულ სხვასა ვხედავთ: ამპარტავანს ეამიერითა სძულს ამპარტავანი კაცი; მშვიდი კაცი კი ყველასთვის საყვარელია. „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“, ერთნაირი ნიჭის მქონნი, ერთნაირ ღირსებითა შემკულნი როცა გაირჩევიან ერთმანეთისაგან, მხოლოდ ერთი სიმშვიდით და მეორე ამპარტავნობით, უსათუოდ პირველი მათგანი უფრო ეყვარებათ ვინემ მეორე, როგორც ღმერთს, ისე კაცს. ამისათვის კაცი მშვიდი და მდაბალი უნდა იყოს და როგორც რომ შტოები ხისა მსხმოიარობის დროს უფრო იღუნებიან და დედა-მიწას უახლოვდებიან, აგრეთვე ვინც უფრო შემკობილია სხვადა-სხვა სათნოებითა, მით მეტად მშვიდი უნდა იქნეს და რამდენად წინ წავა, მაღლა აიწევს, უნდა ეცადოს აიშოროს სხვების ყურადღება. იერემია წინასწარმეტყველი, როგორც თვითონ იყო მშვიდი, ისე სხვებს არიგებდა: „ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნისა მიერ თვისისა და ნუ იქადინ ძლიერი, ძლიერებისა მიერ თვისისა და ნუ იქადინ მდიდარი სიმდიდრესა ზედა თვისსა (9, 23, 24). შეიძლება ვინმე თქვენგანმა, კეთილ-მორწმუნენო მსმენელნო, იკითხოს: თუ ცუდია თავის თავის ქება, რისთვის იქებს თავს ღვთისა და კაცის წინაშე ისეთი გამოჩენილი კაცი, როგორიც იყო დავით მეფე წინასწარმეტყველი, როცა ამბობს: „უფალო არ ამაღლდა გული ჩემი, არცა განსცხრებოდეს თვალნი ჩემნი, არა ვიდოდე მდიდართა თანა, არამედ დავიმდაბლე თავი ჩემი (ფს. 130). მაგრამ აქ განა თავის ქებაა? სრულებითაც არა. დავითი რომ ამპარტავანი კაცი ყოპილიყო თავის თავს მატლსაც არ უწოდებდა (ფს. 21, 7). ზემო-მოყვანილ სიტყვებში ისეთივე აზრია გამოხატული, როგორც მაცხოვრის სიტყვებში: „ისწავეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მათ. 11, 29). ამ სიტყვებიდგან თავის ქება კი არ გამოდის, არამედ დარიგება. როდესაც კაცი თავის ღირსებას უჩვენებს სხვას, რათა ამით მაგალითი დაუტოს, წააქეზოს და მიბაძოს მას სხვამ, ამნაირი ქება თავის ქებათ კი არ ჩაეარდება; აქ არ გამოდის, შეიმეხედეთ მე როგორ ვიქცევიო და ისე მოიქეცით თქვენცო. აქ ჭკუის დარიგებაა, მოყვასის ჭეშმარიტ გზაზე დაყენებაა და არა თავის ქება. როდესაც კაცი ჭეშმარიტებას აღიარებს, ის სრულებითაც თავს არ იქებს: «ხოლო უკეთუ მინდეს სიქადულის, არა ვიყო უგუნურ, რამეთუ ჭეშმარიტი ვსთქვა», ამბობს პავლე მოციქული (2 კორ. 12, 6). „ხოლო ნუ იყოფენ სიქადულ, გვარიგებს იგივე მოციქული, გარნა ჯვარითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა (გალ. 6, 14). ანუ „რომელი იგი იქადოდენ, უფლისა მიერ იქადოდენ“ (2 კორ.

10, 12). „ამას ზედა იქადოდენ მოქადულნი გულის ხმის ყოფასა და ცნობასა ჩემსა, რამეთუ მე ვარ უფალი“, გვიბრძანებს ჩვენი შემომქმედი, მამა ყოვლისა მპყრობელი (იერ. !!, 23, 24). და ვინც არ იქებს თავს, ვინც საჯაროდ არ აღიარებს თავის სარწმუნოებას, პასუხის მგებელი ხდება ღვთის წინაშე. «ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდა ბოძართ წინაშე კაცთა ძეთმანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოსთა ღვთისათა და რომელმან უარ ყოს მე წინაშე კაცთა, უარ იქნეს იგიცა წინაშე ანგელოსთა ღმრთისათა (ლუკ. 12, 8—9).

თუ გინდა მშვიდი იყო და არ გადიდგულდე, ყოველთვის სახეში იქონიე, ძმაო ჩემო საყვარელო, რომ ყოველივე კეთილი მოცემული გაქვს ღვთისაგან. ამასთან თავი შენი შენზე ქვევით მდგომს კი არ უნდა შეადარო ხოლმე, არამედ ვინც შენზე ზევითა სდგას როგორც ჭკუით, ისე ადგილით და სიმდიდრით და, ნამეტურ იესო ქრისტეს, რომელმაც უჩვენა ყველას, თუ როგორი უნდა იქნეს კაცი, როგორ უნდა ეკავოს თავი და მოქმედებდეს. როგორც პირში მაქებელს, ისე მხილებელს ერთნაირად უნდა ეპყრობოდე. თუ გვაძაგებს ვინმე ჩვენ სამართლიანად, ეს დიდად სასარგებლოა, ჩვენ მივხვდებით ჩვენ ნაკლულევანებას და გავსწორდებით და თუ მტრობით რასმეს ცუდს იტყვის ჩვენზე და ჩვენ კი კარგად მოვეპყრობით, ეს ჩვენ შეგვაჩვევს მოთმინებას და მოთმინება ხომ სიმდაბლეს მოასწავებს, სიმდაბლე კი ამპარტავნობის წინააღმდეგია. ამინ.

მდვ. მარკოზ ტყემალაძე.

საეკლესიო კითხვების განმარტება.

კით. არის თუ არა ვალდებული მედავითნე ესწრებოდეს მღვდელს, როცა მას მიუწოდებენ საზიარებლად, ოჯახში აიაზმის შესასრულებლად, ნათლაზე, ზეთის კურთხევაზე და მიცვალებულთა პანაშვიდის შესრულებაზე?

მიგ. ჩვენის აზრით, უადგილოა ეს კითხვა. რაღა საკითხავია ის, რომ მედავითნე ყოველ მღვდელ-მოქმედებაზე უნდა ესწრებოდეს მღვდელს. მაგრამ, როცა ბავშვი საშიშო მდგომარეობაშია და მონათვლა საჭიროდ საჭიროა, რასაკვირველია, მღვდელმა ბავშვის მონათვლა არ უნდა დააყოვნოს მედავითნის მოსვლამდე. ამისთანა შემთხვევაში არა თუ მღვდელს მედავითნის დაუსწრებლად, არამედ ერის კაცსაც შეუძლია ბავშვის მონათვლა სამ-ჯზის წყალში შთაყვანით და მამისა, ძისა და სულის წმიდის სახელის მოხსენებით. ესევე შეიძლება სთქვეს კაცმა სნეულთა ზიარებაზედაც. თუ ვინმე ითხოვს საჩქაროდ ზიარებას, რასაკვირველია მღვდელს უნდა დაესწროს მედავითნე, მაგრამ მედავითნე რომ რაიმე მიზეზისა გამო ვერ მოვიდეს, განა მღვდელმა ზიარება უნდა შეაჩეროს მედავითნის მოსვლამდე?

კით. როდესაც ნათლაზე, ჯვრის წერაზე და წესის აგებაზე მედავითნე არ არის მღვდელთან, საბუთში მარტო მღვდელმა უნდა მოაწეროს ხელი, თუ დაუსწრებელმა მედავითნემაც?

მიგ. თუ მედავითნე არ დასწრებია, ისე უნდა აჩვენონ, რომ იგი არ ყოფილა.

კით. უკეთუ ზემოთ მოხსენებულ მღვდელ-მოქმედება, საიდუმლოების შესრულების დროს მედავითნის მაგიერ საღმრთო წერილის მკითხველ კაცი ესწრება, არ შეიძლება იმან მოაწეროს ხელი ასე: მედავითნის მაგიერ XX?

მიგ. არ შეიძლება.

კით. მედავითნეს აქვს თუ არა უფლება, მოსთხოვოს მღვდელს მონაწილეობა იმ შემოსავალში, რომელიც მას (მღვდელს) მიუღია მედავითნის დაუსწრებლად შესრულებულ მღვდელ-მოქმედებისთვის?

მიგ. მღვდელი ვალდებულია, თუ მედავითნე არ ესწრება მღვდელმ-ოქმედების აღსრულებაზე, განცხადება მიართვას და უჩივლოს მღვდელ-მთავართან ან ადგილობითი ბღოლოჩინთან, რომ მედავითნეს მოეპყრან კანონისამებრ, მაგრამ მღვდელს არა აქვს უფლება, რომ შემოსავალი დაუკავოს მედავითნეს თავის ნებით. ეს სამართლიანობაც არის. ასე რომ არ იყოს მღვდელს შეუძლია მედავითნეს არ შეატყობინოს მღვდელ-მოქმედების აღსრულება და ამნაირად მისი ხვედრი წილი სულ წაართვას.

მეიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის ოჩ-
კეირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

ᲓᲐ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ „რუსული „ 3 მ.	— „ „რუსული „ 2»
— „ „ორივე გამოცემა 5 »	— „ „ორივე გამოცემა 3»

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში, რედაქციაში, ქუთაისში ბ ნ ესტატე ღამბაშიძესთან, თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუსუკაშვილთან. ფოთში—ფეკინოს მ. გრიგოლ მაჭარიოვთან; ახალსენაკში—ბლაგონრ მაჭა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სრ ულ ად.

რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

მაბრეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება ეგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დროა-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დიბარონ რედაქციიდან.

ᲑᲘᲠᲜᲝᲨᲘ

ᲥᲘᲛᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲦᲐᲛᲒᲐᲨᲘᲫᲔ

ᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲔᲑᲐ

დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲧᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔ ᲧᲐᲠᲓᲐ

ბინა: რემმერტის პარკის პირდაპირ, გოფმეისტერის ქუჩაზე, გინცენბერგის სახლი.

Вышли изъ печати и продаются слѣд. учебныя пособія, составл. нач. учит. Д. Е. Рзянкинымъ:

1. „Ученіе-свѣтъ“. Букварь. ц. въ переп. 15 коп.
2. „Начальные прісмы обученія чтенію и письму“. ц. 20 к.
3. „Прописи-образцы“. Изд. 2-е, испр. ц. 12 к.

Авторъ, для ознакомленія, всѣ три книги высылаетъ съ налож. плат. за 60 коп.

При требованіи не менѣе 25 экз. уступ. на букварь 15%, а на прописи отъ 25 до 35%. Пересылка за мой счетъ.

Адресъ: Баку—Балахани, учит. Д. Рзянкину.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ იმერეთის ეპარქიის გაბრიელის საკალებო სასწავლებელთან პანსიონის სახლის აშენების შესახებ. ერთი კომიტეტის წევრთაგანი.—„მწყემსის“ კორრესპონდენცია (ამბარიდან).—წერილი ზემო იმერეთიდამ, მღ. ს. ბუმბურიძე.—საყურადღებო პროგრამა.—ჟურნალ-გაზეთებიდგან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და **მეცნიერება ᲫᲐᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲐᲡᲐ** და **ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲑᲐᲖᲔ**: სიტყვა, ამპარტავნობაზე, თქმული მღვდლის მარკოზ ტყემალაძის მიერ.—სუბეკი კითხვების განმარტება.

—განკუბადებანი.

რედაქტორი-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 1 іюня 1902 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елісѣевъ

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.